პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 დეკემბერი, 1945 წ. № 246 (7461). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

მეტი და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების პროდუქცია — მოწინავე. (1-ლი გვერდი).
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან — პოლონეთის მუშათა პარტიის პირველ ყრილობას (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-2 გვერდი).
ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი — წერილი რედაქციის მიმართ — თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ. (მე-3 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).
პ. კანდელაკი — მუსიკალური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები. (1-ლი და მე-4 გვერდი).

მეტი და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების პროდუქცია

ლენინ-სტალინის პარტია მრეწველობის მუშაკთა წინაშე ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ყოველთვის აყენებდა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის შეუნელებელ ზრუნვას. ჩვენი მრეწველობის ნაწარმი ყოველთვის საუკეთესო უნდა იყოს.

ომის მძიმე წლების შემდეგ, ბრწყინვალედ გამარჯვებული ჩვენი ქვეყანა, მშვიდობიან მშენებლობას შეუდგა. პარტია და ხელისუფლება მრეწველობისაგან მოითხოვენ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრად გადიდებას. ფართო მოხმარების ასორტიმენტის საქონლის გამოშვებაზე ახლა თითქმის მთლიანად არიან გადაყვანილი მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები. მძიმე მრეწველობის საწარმოებთანაც კი შექმნილია ფართო მოხმარების საქონლის საამქროები. ამ ღონისძიებათა შედეგად ფართო მოხმარების საქონლის ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო პროდუქციაში თანდათანობით მატულობს.

რა მაჩვენებლები მოგვცეს საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა 11 თვის მანძილზე?

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ექვსმა საწარმომ ვადაზე ერთი თვით ადრე —1 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა. მათ შორის არიან ტყავის გადამმუშავებელი პირველი ქარხანა, პირველი, მეექვსე და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკები.

შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა, კერძოდ, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, თბილისის აბრეშუმსაქსოვმა, ბამბის ძაფსართავმა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკებმა. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა წელს მოგვცემს 60 ათას მეტრ მაღალხარისხოვან წმინდა საკოსტიუმე, 300 ათას მეტრ ნახევრად უხეშ და ბევრად ამაზე მეტ შალნარევ ქსოვილებს. ეს დაახლოებით ოთხჯერ აჭარბებს სამოქალაქო მოხმარებისათვის ამ ფაბრიკის მიერ ბოლო წლებში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას.

მაგრამ ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ფართო მოხმარების პროდუქციის ზრდასთან ერთად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ამბობს: „ჩვენ მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ უფრო სწორად შრომა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ყველა ჩვენს დაწესებულებაში, რათა საბჭოთა ადამიანის შრომის ნაყოფიერებამ და მისი მუშაობის ხარისხმა საუკეთესო შედეგი მოგვცეს“.

სოციალისტური მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები უკვე გადავიდნენ ან ახლა გადადიან სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე. ეს გადასვლა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. საჭირო ხდება წარმოების ახლებურად მოწყობა, შრომის ორგანიზაციის შეცვლა ისე, რომ შეეფერებოდეს მრეწველობის ახლანდელ ამოცანებს. საჭირო ხდება კადრების ხელახალი განლაგება სამუშაო უბნებზე, მათი ტექნიკურად მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. საწარმოთა ხელმძღვანელების უპირველესი ამოცანაა შექმნან ისეთი პირობები, რომ მუშებს საშუალება ექნეთ გადაჭარბებით შეასრულონ დავალებები, მკვეთრად გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

ხარისხისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ყველგან როდია ყურადღების ცენტრში. ეს ითქმის მაგალითად თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაზე (დირექტორი ა. ლარიბოვი, პარტბიუროს მდივანი გ. ზურაბოვი, მთავარი ტექნოლოგი ა. არუთინოვი). აქ შრომა მოუწესრიგებელია. ნედლეულის წინასწარი დახარისხება არ ხდება. ხშირად ადგილი აქვს პირველი ხარისხის პროდუქციის გაფუჭებას იმის გამო, რომ მუშათა კვალიფიკაცია დაბალია. ფეხსაცმელს, განსაკუთრებით საბავშვოს, ჰკერავენ დაუდევრად. ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა. იგივე უნდა ითქვას თბილისის პლასტიკური რეზინის ქარხანაზე (დირექტორი ამხ. არუთინოვი). მართალია, ქარხანამ 11 თვეში 126 პროცენტით შეასრულა წლიური საწარმოო დავალება, მაგრამ მისი პროდუქცია ხშირად იმდენად უვარგისია, რომ სალანჩედ გამოყენებაც შეუძლებელი ხდება. რეზინაში რკინის ნატეხებიც კი ურევია. ძაფი მას ფეხსაცმელზე ვერ ამაგრებს, ლურსმანს ვერ იტანს.

საფეიქრო, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში კვლავ ადგილი აქვს დაუდევრობას. მაგალითად, კბილის ფხვნილს სად გინდათ, რომ არ აკეთებდნენ, მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში უვარგისია. ზედმეტად სთვლიან მის კიდევ უფრო გულდასმით დამუშავებას, სანელებლების შერევას. დაბალია ასანთის, აგრეთვე მრავალისხვა პირველი მოხმარების საქონლის ხარისხიც.

დირექტორი საწარმოში სოციალისტური სახელმწიფოს მიერ არის წარგზავნილი. იგი პასუხისმგებელია გეგმის როგორც რაოდენობრივი შესრულების, ისე პროდუქციის ხარისხის, წარმოებაში წესრიგის, შრომის სწორი ორგანიზაციისათვის. დირექტორი უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი პირობები, რომ მუშებმა გადაჭარბებით შეასრულონ მიცემული ნორმები, გაზარდონ გამომუშავება, ამავე დროს მოგვცენ მაღალხარისხოვანი პროდუქცია. საჭიროა, რომ წარმოების მეთაური იცნობდეს ყველა მუშას, საამქროებში, აგრეგატებთან იყოს, ასწავლიდეს მუშებს და მათგანაც სწავლობდეს. ნამდვილი ბოლშევიკი ხელმძღვანელი ის არის, ვინც არა მარტო ასწავლის, არამედ თვითონაც სწავლობს მუშებისაგან, „პატარა“ ადამიანებისაგან.

ფართო მოხმარების საქონლის მაღალი რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევაში სამეურნეო ხელმძღვანელებს ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდნენ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული, პროფესიული ორგანიზაციები.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1945 წლის 7 სექტემბრის დადგენილებით დაავალა პროფესიულ ორგანიზაციებს ფხიზლად იდგნენ საწარმოს ჯანსაღად მუშაობის სადარაჯოზე, ყოველ ცალკე შემთხვევისას სიგნალი მისცენ ხელმძღვანელ ორგანოებს საწარმოს ცუდი მუშაობის მიზეზთა შესახებ.

საწარმოს სამეურნეო, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების შეწყობილი მუშაობით უნდა მივაღწიოთ ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების ზრდას, მისი ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. ამას მოითხოვენ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებისაგან პარტია, მთავრობა, გამარჯვებული საბჭოთა ხალხი!

ციტრუსოვანთა დამზადების გეგმა შეასრულეს

ბათუმი

ვადაზე ადრე—11 დეკემბრისათვის ბათუმის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსის ნაყოფის კრეფისა და დამზადების სახელმწიფო გეგმა. დამზადებულია 68 მილიონ 972 ათასი ცალი ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67 მილიონი ცალისა. მათ შორის მანდარინის დამზადების გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით, ლიმონისა—116,5 პროცენტით.

საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის—მოსკოვის მშრომელებს გაეგზავნა 98 ვაგონი ციტრუსის ნაყოფი, ხოლო ლენინგრადის მშრომელებს—31 ვაგონი მანდარინი და ლიმონი. ციტრუსის ნაყოფის კრეფის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მახინჯაურის, ურეხის, კაპანდიბის, თხილნარის, გონიოს სასოფლო საბჭოებმა, კაგანოვიჩის, ჩარკვიანის, კიროვის, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობებმა, სალიბაურის, კახაბრის, ახალშენის, გონიოს საბჭოთა მეურნეობებმა.

ციტრუსის ნაყოფის დამზადება გრძელდება.

სოხუმი

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 10 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ციტრუსის ნაყოფის ჩაბარების წლიური გეგმა. დამზადებულია 10 მილიონ 674 ათასი ცალი ნაყოფი—გეგმის 100,2 პროცენტი.

მრავალმა კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა ციტრუსის ნაყოფის დამზადების გეგმა. სოფელ გუმისტის კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკალმა“ გეგმის გადაჭარბებით ჩააბარა 110 ათასი ცალი მანდარინი, სოფელ ეშერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დავალება 500 პროცენტით გაანაღდა.

ციტრუსის ნაყოფის კრეფა გრძელდება.

ხობი

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა 7 დეკემბრისათვის 106 პროცენტით შეასრულეს ციტრუსის ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

პოლონეთის მუშათა პარტიის პირველ ყრილობას

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება პოლონეთის მუშათა პარტიის პირველი ყრილობის მონაწილეებს — პოლონეთის მუშათა კლასის ინტერესებისა და პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის ერთგულ მებრძოლებს.

პოლონეთის მუშათა პარტია, რომელიც წარმოიშვა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და პოლონეთში მათი აგენტების წინააღმდეგ პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, გამოიწრთო ამ ბრძოლაში და პოლონეთის მშრომელთა მოწინავე მასობრივი პარტია გახდა. ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული პოლონეთისათვის ბრძოლით, პოლონეთის მუშათა პარტიამ დიდი წარმატებები მოიპოვა პოლონეთის დემოკრატიული ძალების დარაზმვის საქმეში, სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ორგანოების მოწყობის საქმეში, პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა შექმნის საქმეში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ აღორძინებული პოლონეთის მუშებს, მშრომელ გლეხებსა და დემოკრატიულ ინტელიგენციას პოლონეთის მუშათა პარტიის სახით ჰყავთ ერთგული ხელმძღვანელი და ნაცადი ორგანიზატორი, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას თავისი სამშობლოს ინტერესები და გადალახოს ახალი ცხოვრების მშენებლობის სერიოზული სიძნელენი იმ ქვეყანაში, რომელიც დაზარალდა როგორც გერმანელ მტარვალთაგან, ისე პოლონელ რეაქციონერთა ემიგრანტული ხროვის გამცემლობისაგან.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არა აქვს, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის ხალხთა ძმური კავშირი და ურღვევი მეგობრობა განუხრელად განვითარდება და განმტკიცდება.

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა პარტიის პირველ ყრილობას!

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა პარტიას და მის ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ძლიერ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ პოლონეთს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

1945 წლის 12 დეკემბერი.

იამალ-ნენელთა ეროვნული ოლქის 15 წლისთავი

სალეხარდი, 11 დეკემბერი. (საკდესი). განიერი მდინარე ობიდან იმიერპოლარული ურალის თოვლიან მწვერვალებამდე და კარის ზღვის უდაბურ ნაპირებამდე ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულან იამალის ტუნდრის უსაზღვრო სივრცენი. აქ დამდგარმა ხანგრძლივმა პოლარულმა ღამემ დედამიწა წყვდიადში გახვია. მოღუშულ ცაში მხოლოდ ხანდახან გაკრთება ჩრდილოეთის ციალი, და მაშინ ტუნდრა ნაირფერად გაკაშკაშდება.

ნენელები, ხანტები და სხვა ეროვნებანი, რომლებიც იამალის ნახევარკუნძულზე მოსახლეობენ, აღნიშნავენ იამალ-ნენელთა ეროვნული ოლქის შექმნის 15 წლისთავს. ამ წლების მანძილზე ჩრდილოეთის ხალხებმა სახელოვანი გზა განვლეს. ოლქში შექმნილია 12 თევზის ქარხანა, 7 მოტორ-თევზსაჭერი სადგური, აგებულია საკონსერვო კომბინატი და ფაბრიკა. თევზის ჭერა წლითი წლობით ვითარდება. მარტო წელს ჩრდილოეთის მეთევზეებმა სამშობლოს მისცეს 150 ათასზე მეტი ცენტნერი თევზი. ოლქის საკონსერვო მრეწველობამ ჯერ კიდევ 1 ნოემბერს გადამეტებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა. იამალის ბეწვეული განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით.

მრავალი ათასი სულით გადიდდა ირმის ჯოგი, რომელსაც აქ დიდად აფასებენ როგორც სატრანსპორტო საშუალებას, როგორც ტანსაცმლისა და საზრდოს მიმცემს მკვიდრი მოსახლეობისათვის.

ოდესღაც იმიერპოლარეთის მიწა უნაყოფოდ ითვლებოდა. ამჟამად აქ ჩინებულად ხარობს კარტოფილი, ბოსტნეული. იმიერპოლარული საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურის მუშაკებს წარმატებით მოჰყავთ ადგილობრივი ჯიშის ქერი და ხორბალი.

მეურნეობის განვითარებასთან ერთად ოლქში კულტურაც ვითარდება: მუშაობს 61 სკოლა, 33 სკოლა-ინტერნატი, სადაც ბავშვები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან. ნენელთა ბავშვები იღებენ არა მარტო დაწყებითს, არამედ საშუალო სპეციალურ განათლებასაც. ოლქის ცენტრში — სალეხარდში შექმნილია ეროვნული პედაგოგიური სასწავლებელი, ზოოტექნიკუმი, სავაჭრო სკოლა, მზადდებიან საკოლმეურნეო კადრები, მედიცინის მუშაკები.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველდღიურად ზრუნავს ჩრდილოეთის ხალხების კეთილდღეობისათვის. ოლქში მოწყობილია 9 საექიმო პუნქტი, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციები, შექმნილია 60 სამეანო-საფერშლო პუნქტი, მათ შორის 50-ტუნდრაში. უმჯობესდება კავშირგაბმულობა ცალკე რაიონებსა და სოფლებს შორის. იამალში ითვლება 47 საფოსტო განყოფილება, 60 რადიოსადგური.

დიდი სამამულო ომის წლებში ათასობით ნენელი, ხანტი და ჩრდილოეთის სხვა ხალხები, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელნი, იარაღით იცავდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ. 200-ზე მეტი კაცი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

გუშინ დღესასწაულზე სალეხარდს ტუნდრიდან ჩამოვიდა 300-ზე მეტი წარჩინებული მეირმე, მონადირე, მეთევზე. ქალაქში იხსნება სადღესასწაულო ვაჭრობა, დაიწყება ტრადიციული ირემთა მარული.

დაიწყო მსუბუქი ავტომობილების „ზის-110“ წარმოება

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა შეუდგა უმაღლესი კლასის შვიდადგილიანი მსუბუქი მანქანების „ზის-110“ წარმოებას.

ახალ ავტომობილს აქვს ლამაზად მორთული ძარა-ლიმუზინი. მანქანას აქვს რადიომიმღები, გათბობის სისტემა, მინების ჰიდრავლიკური ამწევი და უახლესი თანამედროვე ხელსაწყოები.

„ზის-110“-ზე დადგმულია მძლავრი 8-ცილინდრიანი ძრავი. ავტომობილის მაქსიმალური სისწრაფეა გზატკეცილზე 140 კილომეტრი საათში.

50-ზე მეტი მომიჯნავე საწარმო ამზადებს „ზის-110“-სათვის ათასზე მეტი სახელწოდების დეტალსა და აგრეგატს. ისინი ამზადებენ მისთვის სანთლებს, სიგნალებს, რადიომიმღებებს, რამდენიმე ათეული ტიპის საკისრებს და ლითონის, რეზინის, პლასტმასის, ფიბრის, ფეტრისა და ტყავის მრავალ ნაწარმს. მასალებს ახალი ავტომობილისათვის ღებულობენ ლენინგრადიდან, გორკიდან, ვლადიმირიდან, კუიბიშევიდან, სვერდლოვსკიდან, იაროსლავლიდან და სხვა ქალაქებიდან. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ბევინის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა მოკლე განცხადება გააკეთა თემთა პალატაში მოსკოვს თავისი მომავალი გამგზავრების შესახებ და სთქვა: „მე შემიძლია მხოლოდ იმედი ვიქონიო, რომ ჩვენი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს მრავალი გადაუჭრელი სასწრაფო პრობლემის მეგობრული გადაწყვეტის მიღწევას“.

შეკითხვაზე, რა ზომებია მიღებული, რომ საფრანგეთის მთავრობა სავსებით იცნობდეს მოლაპარაკების ვითარებას მოსკოვის მომავალი თათბირის დროსო, ბევინმა უპასუხა: ეს მოლაპარაკება კვლევითია და საქმე, რომლის გამოც მოხდება შეხედულებათა გაზიარება, ძირითადად ეხება სამ მთავრობას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ თათბირში. ჩვენ საფრანგეთის მთავრობას ვაცნობეთ, რომ საფრანგეთის დაუსწრებლად მოსკოვში არ ვეცისრებით ვალდებულებებს იმ საკითხებზე, რომლებიც მას შეეხებიან.

ბირნსის განცხადება

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: მე მოსკოვს მივდივარ სამი სახელმწიფოს იალტის შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას ყოველ 3 თვეში, რათა გაუზიარონ ერთმანეთს აზრები შესაბამის ქვეყნებს შორის წარმოშობილ მიმდინარე საკითხებზე. სწორედ ასევე ბირნსს განზრახვა აქვს წინადადება შეიტანოს მოსკოვში, რომ მარტში მოწვეულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების ახალი შეხვედრა ვაშინგტონში. ბირნსმა აღნიშნა: მეტად დასანანი იქნებოდა, ამერიკელმა ხალხმა იმდენად მცდარად შეაფასოს მომავალი შეხვედრა მოსკოვში, რომ განხილული საკითხების გამო სრული შეთანხმების შესაძლებელი მიუღწევლობა ჩასთვალოს როგორც სამი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესების დამამტკიცებელი გარემოება. სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირის პერიოდული მოწვევის მიზანს წარმოადგენს მიმდინარე საკითხებზე სათანადო პოზიციების დაზუსტება და უთანხმოების მოგვარება, რათა მიღწეულ იქნას სრული ურთიერთგაგება.

ბირნსმა აღნიშნა, რომ იალტის შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირებს, თვითეულ საგარეო საქმეთა მინისტრს შეუძლია განსახილველად დასვას ყოველი პრობლემა, რომელიც მას გადაუდებლად მიაჩნია.

დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის ჯალათებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს გერმანიაში ამერიკის საინფორმაციო სამსახურის ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკის სამხედრო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 36 ჯალათს, რომელთაც ბრალდებოდათ დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში ჩადენილი დანაშაულობანი, 1 ბრალდებულს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, 3 ბრალდებულს — 10 წლის პატიმრობა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

1. კალანდარიშვილი მართა პახვალას-ასული—დიასახლისი, ქ. ცხაკაია, ცხაკაიას რაიონი
2. ლიპარტელიანი ქაჟოლ თეიმურაზის-ასული — დიასახლისი, სოფელი ყვედრეში, ქვემო სვანეთის რაიონი
3. პირტახია ოლია დავითის-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ აბალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. ფურელიანი მაგა ხახას-ასული—დიასახლისი, სოფელი ლაქსურა, ქვემო სვანეთის რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

1. თორდია მინადორა გახუს-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. კურასპედიანი მატრონა მურათბის-ასული—დიასახლისი, სოფელი ბაბილი, ქვემო სვანეთის რაიონი
3. ლიპარტელიანი ფემტა ბითუს-ასული — დიასახლისი, სოფელი კახურა, ქვემო სვანეთის რაიონი
4. მუხელიანი ირინე ათანასეს-ასული—დიასახლისი, სოფელი გვიმრალა, ქვემო სვანეთის რაიონი
5. როგავა არეთა ესტატეს-ასული—დიასახლისი, ქ. ცხაკაია, ცხაკაიას რაიონი
6. ხალვაშია თამარ (ასპიროზ) ხახუს-ასული — დიასახლისი, ქ. ცხაკაია, ცხაკაიას რაიონი
7. ტვილდიანი მატრონა არქიპოს-ასული — დიასახლისი, სოფელი რცხმელური, ქვემო სვანეთის რაიონი
8. კორშია ალუშა დუტუს-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. შამათავა ირინე თეიმურაზის-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
10. ხარბედია ცუცუ თომას-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით

1. ბესელია მარიამ თედორეს-ასული—დიასახლისი, ქ. ცხაკაია, ცხაკაიას რაიონი
2. გვიდიანი ანა (ანიჩკა) აბრამის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. გულბიანი სოფიო (სონიჩკა) ბამუს-ასული —ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. გულბიანი ევა ლევანის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. კვირკელია მარგარიტა ვასილის-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. კირცხალია ქსენია კონსტანტინეს-ასული —ცხაკაიას რაიონის სოფელ აბალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
7. ლიპარტელიანი ირინე ალექსის-ასული — დიასახლისი, სოფელი ნანარი, ქვემო სვანეთის რაიონი
8. ონიანი ცაგუ ვასილის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჯახუნდერის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. ონიანი სალომე ზურაბის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
10. ონიანი პელაგეა (პელა) გაიოზის-ასული —ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჯახუნდერის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
11. კორშია ძაბა ზოსიმეს-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ შხეფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
12. ყურუა ბაბილინა სტეფანეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის“ I ხარისხის მედლით

1. ბესელია ოლია ბესარიონის-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. გაბელია ლოლა ივანეს-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. კარტოზია ლეონია ჯარუს-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ბეთლემის კოლმეურნეობის წევრი
4. კირცხალია აგრაფენა ეგნატეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ოქტომბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. კურასპედიანი ფემტა ვლადიმერის-ასული—დიასახლისი, სოფელი ხოფური, ქვემო სვანეთის რაიონი
6. კურასპედიანი ვიქტორია (ვიტია) გიოს-ასული—დიასახლისი, სოფელი ნანარი, ქვემო სვანეთის რაიონი
7. კუპრეიშვილი ალექსანდრა პავლეს-ასული —ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
8. ლიპარტელიანი ოლია პავლეს-ასული — დიასახლისი, სოფელი წიფლაკაკი, ქვემო სვანეთის რაიონი
9. ლიპარტელიანი ეფე ბეკოს-ასული—დიასახლისი, სოფელი წიფლაკაკი, ქვემო სვანეთის რაიონი
10. ლიპარტელიანი დოფო მელიტონის-ასული—დიასახლისი, სოფელი ნანარი, ქვემო სვანეთის რაიონი
11. მეშველიანი მარიამ სიმონის-ასული—დიასახლისი, სოფელი ნანარი, ქვემო სვანეთის რაიონი
12. მუხელიანი ოლია დარის-ასული—დიასახლისი, სოფელი ნანარი, ქვემო სვანეთის რაიონი
13. ტყებუჩავა ნადეჟდა შარვანის-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ აბალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
14. ქარდავა ლიდა ალექსის-ასული—დიასახლისი, სოფელი ხოფური, ქვემო სვანეთის რაიონი
15. ჩაჩავა ნინო ლუკას-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
16. ცანავა ალექსანდრა თედორეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ოქტომბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
17. ხუბუნაია ევგენია (ჟენია) თეიმურაზის-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ბეთლემის კოლმეურნეობის წევრი
18. ჯიქია არეთა დავითის-ასული—ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის“ II ხარისხის მედლით

1. გუგუშვილი ალექსანდრა (მურა) ალექსის-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
2. გელოვანი დესპინე ყარამანის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. გელოვანი დომკა გიორგის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. გულბიანი ჯოფო გრამიტონის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. დუდუჩავა ოლია პეტრეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ოქტომბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. თოფურია პაშა მაქსიმეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
7. კილასონია ელისაბედ (ლიზა) თეიმურაზის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
8. ოდიშარია თამარ კონსტანტინეს-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. ონიანი მელეხან ხალუმბეგის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჯახუნდერის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
10. ონიანი სოფიო (სონია) ალექსის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჯახუნდერის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
11. ონიანი ევა ბასილის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეკოსანდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
12. ონიანი ტაცეი ჯაბას-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჯახუნდერის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
13. ხიმონია სოფიო (სონია) ნესტორის-ასული —ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
14. წურწუმია ფუჩუ მანუჩას-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
15. ჰუბაბრია ჰეიპე ტარასის-ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ოქტომბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
16. ჯინჭარაძე მართა ანტონის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1945 წ. 10 დეკემბერი.
ქ. თბილისი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 118 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ც ნ ო ბ ა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 118 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართი ასეთია:

ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 16, მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის შენობა, მეორე სართული, ტელეფონი 3-13-96.

მოძრავი ელექტროსადგური თბილისისათვის

საქართველოში გაიგზავნა ენერგომატარებელი ხუთიათასი კილოვატის სიმძლავრისა. იგი იმუშავებს ადგილობრივი ტყვარჩელის ქვანახშირით. მოძრავი ელექტროსადგური ათასობით კილოვატსაათ ახალ ელექტროენერგიას მისცემს თბილისს. (საკდესი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

10 დეკემბრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე პირველად გამოჩნდა ბრალდებული კალტენბრუნერი, რომელიც დღემდე არ ესწრებოდა სასამართლოს სხდომებს ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო (როგორც ამის შესახებ წინათ იუწყებოდნენ). ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა სასამართლოს აცნობა, კალტენბრუნერი დღეს გამოცხადდა ტრიბუნალის სხდომაზეო, და სთქვა, რომ, ტრიბუნალის წესდების თანახმად, ბრალდებულმა კალტენბრუნერმა პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე, სცნობს თავს დამნაშავედ თუ არა. კალტენბრუნერმა უპასუხა, რომ იგი თავს უდანაშაულოდ სთვლის. კალტენბრუნერი ჯდება ბრალდებულთა პირველ სკამზე კაიტელსა და როზენბერგს შუა.

შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამერიკის ბრალდების წარმომადგენელს ოლდერმენს. ოლდერმენი განაგრძობს საბუთების მოყვანას, რომლებიც ეხებიან სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმას. ოლდერმენს მოჰყავს ციტატი გენერალ ტომასის 1941 წლის 20 ივნისის მემორანდუმიდან, რომელშიც ტომასი აყალიბებს ჰიტლერის ახალ თვალსაზრისს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის საკითხზე:

„ქვემოთმოყვანილი წარმოადგენს ფიურერის ახალ თვალსაზრისს, რომელიც მე განმიმარტა მინისტრმა ტოდტმა და რომელიც უფრო გვიან დამიდასტურა ფელდმარშალმა კაიტელმა. ომის მსვლელობამ დაგვანახვა, რომ ჩვენ ძალიან შორს შევტოპეთ ავტარკიისადმი მისწრაფებაში. შეუძლებელია ვეცადოთ სინთეზური გზით ან რაიმე სხვა საშუალებით დავამზადოთ ყოველი ნივთი, რომელიც ჩვენ არ გვყოფნის. მაგალითად, შეუძლებელია განვავითაროთ საწვავის წარმოება იმდენად, რომ სავსებით დამოუკიდებელნი გავხდეთ ამ დარგში. მთელი ეს მისწრაფება ავტარკიისადმი მუშახელის ისეთ უზარმაზარ გამოყენებას მოითხოვს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი გამოძებნა. საჭიროა სხვა გზის პოვნა. იმას, რაც არა გვაქვს, მაგრამ რაც გვესაჭიროება, ჩვეულებრივად ომით იპყრობენ. მიზანი უნდა გახდეს უზრუნველვყოთ ჩვენთვის ყველა ტერიტორია, რომლებსაც სპეციალური მნიშვნელობა აქვთ სამხედრო ეკონომიკისათვის. უკვე იმ დროს, როდესაც შემუშავებული იყო ოთხწლიანი გეგმა, მე სავსებით ნათლად განვაცხადე, რომ სრული ავტარკია ჩვენთვის შეუძლებელია, რამდენადაც მუშახელის საჭიროება მეტისმეტად დიდია".

„ამრიგად,—აცხადებს ოლდერმენი,—მიზანი გერმანიის აგრესიისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სავსებით ცხადი იყო. ამით ვამთავრებ სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის აგრესიის წინასწარგანზრახულობის საბუთების მოყვანას. ბრალდების სხვა წარმომადგენლები გვიჩვენებენ, თუ როგორ ეწეოდნენ გერმანელი ფაშისტები ომს ამ ქვეყანაში. ყველა დროის ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ არაპროვოცირებულ აგრესიას თან ხლებოდა ომის წარმოების ასეთი ბარბაროსული მეთოდები. საბჭოთა ხალხის მიერ გადატანილი ტანჯვა უსაზღვროა. ამ ბრალდებულთა დასჯა უნდა შეესაბამებოდეს მათი დანაშაულის სიმძიმეს".

შემდეგ ოლდერმენი გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებზე გერმანიის თავდასხმის ანალიზზე. ბრალმდებელი ამბობს, რომ ღერძის სახელმწიფოთა აგრესიული განზრახვანი წარმოიშვნენ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მათ შორის დაიდო ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული პაქტი, 1936 წლის 25 ნოემბერს. ბრალმდებელი ამ დოკუმენტს დამამტკიცებელი საბუთის სახით ურთავს ტრიბუნალის ოქმებს. იგი იმოწმებს აგრეთვე ოქმს გერმანია-იაპონიის ანტიკომინტერნული პაქტისადმი იტალიის შეერთების შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა 1937 წლის 6 ნოემბერს. 1940 წლის 27 სექტემბერს გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის ხელმოწერილ იქნა სამთა პაქტი, რომლის თანახმადაც იაპონია აღიარებდა გერმანიისა და იტალიის ხელმძღვანელ როლს ევროპაში ეგრეთ წოდებული ახალი წესრიგის დამყარებაში, მაშინ როცა გერმანიამ და იტალიამ სცნეს იაპონიის ხელმძღვანელი როლი დიდ აღმოსავლეთ აზიაში ახალი წესრიგის დამყარებაში. ბრალმდებელი სპეციალურად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ყველა ამ ხელშეკრულების დადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრალდებული რიბენტროპი. ყველა ამ პაქტს აშკარად აგრესიული ხასიათი აქვს. ბრალმდებელს მოჰყავს ციტატი დოკუმენტიდან, რომელიც წარმოადგენს იაპონიის ელჩ ოსიმასთან გესტაპოს და სს ხელმძღვანელის ჰიმლერის იმ საუბრის ჩანაწერს, რაც ბერლინში მოხდა 1939 წლის 31 იანვარს. დოკუმენტზე არის ჰიმლერის ფანქრით გაკეთებული პირადი ხელწერა. ჰიმლერის დოკუმენტში ნათქვამია:

„დღეს მე ვინახულე გენერალი ოსიმა. საუბარი შეეხო შემდეგ საკითხებს: პირველი, ფიურერის სიტყვა, რომელიც მას ძალიან მოეწონა, რამდენადაც იგი მორალურად დასაბუთებულია ყოველმხრივ. მეორე, ჩვენ განვიხილავდით გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის სამმხრივი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა ამ ქვეყნების ურთიერთობას. ოსიმამ აგრეთვე მაცნობა, რომ გერმანიის კონტრდაზვერვასთან ერთად მან მიიღო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რუსეთის დაყოფა და მისგან კავკასიისა და უკრაინის ჩამოშორება. მაგრამ მის მიერ შექმნილი ორგანიზაცია ეფექტიანი მხოლოდ ომის შემთხვევაში იქნება".

შემდეგ ბრალმდებელი იხსენიებს ბრალდებულ რიბენტროპის მოლაპარაკებას იმავე ოსიმასთან 1941 წლის 23 თებერვალს. დოკუმენტი წარმოადგენს ამ საუბრის ჩანაწერს, რომელიც ხელმოწერილია რიბენტროპის მიერ. ამ საუბრის შინაარსი გვიჩვენებს, რომ ჰიტლერული გერმანიის ხელმძღვანელები არ ზოგავდნენ ღონისძიებას, რომ წაექეზებინათ იაპონია აგრესიისათვის შორეულ აღმოსავლეთში.

ჰიტლერული სამხედრო ხროვა გარეული იყო აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ომის აქტიურ მომზადებაში. 1941 წლის 5 მარტს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის შტაბმა გამოსცა დირექტივა № 24, რომელშიც ნათქვამია: „ფიურერმა გამოსცა შემდეგი ბრძანება იაპონიასთან თანამშრომლობის შესახებ: პირველი, სამთა პაქტზე დამყარებული თანამშრომლობის მიზანია რაც შეიძლება მალე გადავადგმევინოთ იაპონიას აქტიური ნაბიჯი შორეულ აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში ინგლისის მძლავრი ძალები შებოჭილ იქნებიან იქ, და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა სიმძიმის ცენტრი ომის მსვლელობაში გადატანილ იქნება წყნარ ოკეანეში. რაც უფრო მალე ჩაერევა იაპონია, მით უკეთესი იქნება მისი წარმატების პერსპექტივები, ომისათვის მის მოწინააღმდეგეთა მოუმზადებლობის გამო. ოპერაციები „ბარბაროსას გეგმის" მიხედვით მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ და სამხედრო წანამძღვრებს შექმნიან. მეორე, ამ თანამშრომლობის მომზადების მიზნით საჭიროა ყოველნაირად დავეხმაროთ იაპონიას მისი სამხედრო პოტენციალის განმტკიცებაში".

შემდეგ ეს დირექტივა ითვალისწინებს იაპონიასა და გერმანიას შორის სამხედრო თანამშრომლობის კონკრეტულ მხარეებს. 1941 წლის 29 მარტს ბერლინს ჩავიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა. მას საუბარი ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპთან, რომელიც არწმუნებდა იაპონიას ჩარეულიყო ომში ინგლისის წინააღმდეგ.

1941 წლის 5 აპრილს მოხდა რიბენტროპის ახალი საუბარი მაცუოკასთან, რომლის დროსაც რიბენტროპი კვლავ არწმუნებდა მაცუოკას, საჭიროა გამოსვლის დაჩქარებაო. 1941 წლის 24 მაისს გერმანიის სამხედრო ატაშე ტოკიოში იტყობინებოდა, იაპონელებმა დაიწყეს მზადება სინგაპურისა და მანილის ხელში ჩასაგდებადო.

სხვათა შორის, ბრალმდებელმა მოიყვანა შემდეგი ადგილი გერინგის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა 1938 წლის 8 ივლისს გერმანიის ავიაციის მრეწველების წინაშე: „მე დღემდე არა მაქვს ისეთი თვითმფრინავები, რომელთაც შეეძლოთ ხუთტონიანი ბომბის ზიდვა, ნიუ-იორკამდე მიფრენა და უკან დაბრუნება. მეტისმეტად ბედნიერი ვიქნებოდი, ასეთი ბომბდამშენი რომ მქონოდა, რათა შემძლებოდა ერთხელ ჩამეწყვეტინებინა ხმა მკვეხარა ადამიანებისათვის ოკეანეს გაღმა". ბრალმდებელი ამ დოკუმენტს ურთავს სასამართლოს ოქმებს, როგორც გერინგის მამხილებელს შეერთებული შტატების წინააღმდეგ აგრესიის დაგეგმვაში.

გერმანიის მხრივ წაქეზებამ დიდი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულ შტატებზე იაპონიის თავდასხმის საქმეში. 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის ფლოტმა ვერაგულად, რაიმე გაფრთხილების მიუცემლად იერიში მიიტანა ამერიკის ფლოტზე პერლ-ჰარბორში. 1941 წლის 11 დეკემბერს რიბენტროპმა ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბერლინში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოიყვანა ცრუ მოტივები შეერთებული შტატებისათვის გერმანიის მიერ ომის გამოცხადების გასამართლებლად.

ამით მთავრდება საღამოს სხდომა.

11 დეკემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომის გახსნის შემდეგ ბრალდების წარმომადგენელი აცხადებს, რომ დღეს ბრალმდებელთ განზრახული აქვთ დამამტკიცებელ საბუთად წარმოადგინონ დოკუმენტალური ფილმები, რომლებიც გადაღებულია ჰიტლერელთა ოფიციალური ფოტოგრაფების მიერ. მთელ ამ კინოდოკუმენტს ეწოდება „ნაცისტური გეგმა".

დოკუმენტალური ფილმი იმით იწყება, რომ უჩვენებენ ბრალდებულ როზენბერგს, რომელიც ლაპარაკობს ჰიტლერული პარტიის პირველი ნაბიჯებისა და 1921-დან 1929 წლამდე მისი საქმიანობის შესახებ. მისი თხრობის საილუსტრაციოდ მოყვანილია კინოქრონიკის სცენები.

სხვა კადრები გვიჩვენებენ ჰიტლერელთა ბატონობას ხელისუფლების სათავეში მათი ჩადგომის შემდეგ. რაიხსტაგის არჩევნების დღე ბავარიასა და ბერლინში, გადაღებული აფსკაზე, უფრო მოწინააღმდეგის მიერ დაპყრობილ ქალაქს მოგვაგონებს, ვიდრე თავისუფალ არჩევნებს: ქუჩებში პატრულობენ შეიარაღებული ფაშისტები, პროფკავშირების სახლებთან და სხვა პოლიტიკური პარტიების შენობებთან დაყენებულია ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მოიერიშეთა რაზმები.

ფილმის მეორე ნაწილი იმით იწყება, რომ უჩვენებენ ჰიტლერელების მიერ მოწყობილ ანტისემიტურ რბევასა და ბოიკოტს. შემდეგი სცენა გამოხატავს ამ დამრბევებს ჩირაღდნებით გაშუქებულ ღამეში. ისინი სწვავენ „არაარიელ მწერალთა" წიგნებს და ცეკვავენ ვეებერთელა კოცონთა გარშემო. ცოფიანი გებელსი სიტყვას წარმოსთქვამს და მოუწოდებს გერმანელ ახალგაზრდობას არაფერს არ მოერიდოს, რათა მიაღწიოს ჰიტლერელების მიერ ნაჩვენებ მიზანს. ბრბო მღერის „გერმანელებო, იარაღი აისხით!".

სხვა სურათში ნაჩვენებია, რომ გერმანელები უკვე იღებენ ამ იარაღს. ჰიტლერული მთავრობის წევრები, მათ შორის ბრალდებული გერინგი, პაპენი და ნოირატი, „აკურთხებენ" ახალ უზარმაზარ თვითმფრინავს. შემდეგი სცენები გვიჩვენებენ, თუ როგორ სულ უფრო და უფრო იძენენ იარაღს გერმანელები. „რაიხსტაგის" წევრთა ტაშის გრიალში ჰიტლერი აცხადებს, რომ გერმანიას განზრახული აქვს შეაჩეროს თავისი „განიარაღება".

ეკრანზე ჩნდება არა მარტო იარაღი, არამედ მომავალი ჯარისკაცებიც. მაყურებელთა წინაშე ჯარისკაცის ნაბიჯით დადის ათასობით ახალგაზრდა გერმანელი. მათ მხარზე თოფის ნაცვლად ჯერ კიდევ ნიჩბები უპრიალებთ. მაგრამ ისინი ამ ნიჩბებით ისეთ ვარჯიშობას ასრულებენ, რომ აშკარაა მათ იციან შაშხანის ხმარებაც. დოკუმენტის მეორე ნაწილი თავდება ნიურნბერგში ჰიტლერული პარტიის მეექვსე ყრილობის დემონსტრაციით. მაყურებელთა წინაშე არიან არა მარტო პოლიტიკური დამრბევნი, როგორც ჰიტლერი, ჰესი, შტრაიხერი და ბორმანი, არამედ სამხედრო კასტის წარმომადგენლებიც—რედერი და გენერალიტეტის სხვა წარმომადგენლები. ნიურნბერგის ქუჩებში მოიერიშეებსა და მცველი რაზმების წევრებს, რომელთაც ჰიმლერი მიუძღვის, მიჰყვებიან რაიხსვერის ჯარისკაცები, რომელთაც პრუსიული ნაბიჯით მიუძღვიან გენერლები. ეკრანზე ნაჩვენებია დაუსრულებელი მიტინგები, მყვირალა სიტყვების წარმოთქმა, დოლის ბრახუნი და მარში. ჰიტლერელთა კარგად გაწვრთნილი ჯოგი ერთსულოვნად ღრიალებს „ჰაილ", მაღლა იშვერს ხელებს და მარშით დადის.

დოკუმენტის მესამე ნაწილში, რომელიც მიძღვნილია აგრესიული ომების მომზადებისადმი, ნაჩვენებია, თუ რა საშუალებებით ამუშავებდნენ ჰიტლერელები გერმანელთა საზოგადოებრივ აზრს. ბრალდებული შირახი წამყვან როლს ასრულებდა მომავალი საზარბაზნე ხორცის მომზადების საქმეში. მაყურებელთა წინაშე გადაშლილია ფაშისტი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვან შეკრებათა და მანიფესტაციათა სცენები; ახალგაზრდობა სამხედრო წყობილებით დადის, გაჰყვირის სამხედრო ლოზუნგებს და მოუწოდებს სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ.

ამას მოსდევს ჰიტლერული პარტიის მორიგე ყრილობა: იგივე სიტყვები, დოლი, მარში და მანევრები, ჰიტლერის მორიგი სიტყვა გერმანიის შეიარაღების შესახებ და აგრესიის პირველი აქტი—ავსტრიაში გერმანიის ჯარების შესვლა; ნაჩვენებია ჰიტლერი ვენაში შესვლის დროს, მას თან ახლავს ბრალდებული კაიტელი.

ეკრანზეა რაიხსტაგის სხდომა. ჰიტლერი მოახსენებს სხდომას ავსტრიის დაპყრობის შესახებ. ფრიკი, ფუნკი, ზაუკელი, რიბენტროპი, ჰესი და ზაის-ინკვარტი მოწონების ნიშნად ტაშს უკრავენ. ამას მოსდევს ახალი კადრი: ჰიტლერის სიტყვა სპორტპალასში. იგი მოითხოვს, რომ გერმანიას შეუერთდეს ჩეხოსლოვაკიის სუდეტის მიწა-წყალი. ჰიტლერი იარაღის გამოყენებით იმუქრება, მაგრამ აქამდე საქმე არ მისულა. ეკრანზე გამოჩნდებიან მუსოლინი, ჩემბერლენი, დალადიე და ჰიტლერი გერინგის, რიბენტროპისა და სხვათა თანხლებით, ხელს აწერენ მიუნხენის შეთანხმებას. გერინგი, რომელიც, როგორც ჩანს, თავისი მრავალი ორდენისა და მედლის სიმძიმით გაოფლიანებულია, იცინის და კმაყოფილებით იფშვნეტს ხელს, თითქოს მეტად სახეირო გარიგება დასდო ან კარგი მოგება მიიღო. შემდეგ ნაჩვენებია გერმანიის ჯარების შესვლა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

ეკრანზე კვლავ ჩანს ისტერიული ჰიტლერი ფაშისტური რაიხსტაგის წინაშე. იგი აცხადებს, თუ ომი ატყდა, ევროპის ებრაელი მოსახლეობა მოსპობილ იქნებაო. რაიხსტაგის „დეპუტატთა" შორის მოსჩანს ბრალდებული შპეერი, რომელიც მოწონების ნიშნად ტაშს უკრავს.

ეკრანზე ბერლინის ქუჩებში გამოჩნდა ჰიტლერელთა ლეგიონი, რომელიც ფრანკოს მხარეზე ომობდა ესპანეთში. ჰიტლერი ამოწმებს გერმანიის ფორტიფიკაციებს დასავლეთ საზღვარზე. ჩიანო ჩადის ბერლინში, რათა ხელი მოაწეროს ფაშისტური ღერძის შემქმნის პაქტს. დიპლომატებს მიჰყვებიან გერინგი, რედერი და კაიტელი. ჰიტლერის საიმპერიო კანცელარიაში ხელს აწერენ ევროპის მშვიდობის წინააღმდეგ ორი ფაშისტი შეთქმულის პაქტს. ამით თავდება ფილმის მესამე ნაწილი.

შესვენების შემდეგ გრძელდება დოკუმენტალური ფილმის დემონსტრაცია. ბრალდების წარმომადგენელი ერთხელ კიდევ მოაგონებს ტრიბუნალს, რომ ფილმი—დოკუმენტი შედგენილია ჰიტლერელი კინოოპერატორების მიერ გადაღებული ოფიციალური კინოქრონიკის საფუძველზე. სურათის უკანასკნელი ნაწილია 1939-1944 წლების აგრესიული ომები. ჰიტლერელი შეთქმულნი შეუდგნენ თავიანთი პროგრამის განხორციელებას დანციგის მიმართ. ისინი შეიჭრნენ ამ ქალაქის ქუჩებში, და ტანკები მიბრუნით ესვრიან ქვემეხს საცხოვრებელ სახლებს, ხვრეტენ წინააღმდეგობის გამწევთ, ქალაქი ცეცხლშია გახვეული.

1939 წლის 1 სექტემბერი. ჰიტლერელ შეთქმულთა ბრძანებით ტანკები ანადგურებენ საზღვრის ბოძებსა და ბარიერებს, ტანკების შემდეგ საზღვარზე გადადიან მოტომექანიზებული ნაწილები, არტილერია და ქვეითი ჯარი. პოლონეთს თავს დასტრიალებენ ფაშისტური სვასტიკიანი თვითმფრინავები. პოლონეთის კამპანიის დასასრულ რაიხსმარშალი გერინგი იქებნის ჰიტლერული ავიაციის წარმატებას.

1940 წელი. ეკრანზეა ჰიტლერული სამხედრო მანქანის მოქმედება ნორვეგიასა და დანიაში. გერმანიის თვითმფრინავები კოპენჰაგენის თავზე. ფაშისტი სვავები ბომბავენ ნორვეგიას. მათ დაიკავეს ოსლო. ჰიტლერელი ბანდიტები დადიან ნორვეგიის დედაქალაქის ქუჩებში.

ჯერი მიდგა ჰოლანდიასა და ბელგიაზე. კვლავ სჩანან საჰაერო დესანტი, პარაშუტისტები, ბომბდამშენები მშვიდობიანი ქალაქების თავზე, როტერდამის აღმოდებული უბნები, ქალები და ბავშვები, რომლებიც გარბიან, რომ თავი დააღწიონ ბომბებსა და ხანძრებს.

საფრანგეთის სარდლობა ხელს აწერს კაპიტულაციას კომპიენის ტყეში. ჰიტლერი ჯამბაზობს კინოაპარატის წინ და გამოხატავს თავის აღტაცებას. ეკრანზე გადაიშალა ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი. რიბენტროპი, ჩიანო და იაპონიის ელჩი ახალ საიმპერიო კანცელარიაში ხელს აწერენ სამთა შეთანხმებას. ამიერიდან ისინი აპირებენ „ახალი წესრიგი" შემოიღონ ევროპასა და აზიაში.

დგება ბალკანეთის მიმართ ჰიტლერელ შეთქმულთა გეგმების განხორციელების ვადა. ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი მოღალატე ფილოვი უერთდება ღერძის ქვეყნებს. ეკრანზე აღბეჭდილია მომენტი, როცა ვენაში ჩასული ფილოვი მლიქვნელურად თავს უკრავს და ხელს ართმევს ჰიტლერს.

1941 წელი ჰიტლერელ შეთქმულთა ჯარები თავს დაესხნენ იუგოსლავიასა და საბერძნეთს. გერმანიის ავიაცია ბომბავს უიარაღო უმწეო ქალაქებსა და სოფლებს.

დგება 1941 წლის 22 ივნისის დღე. ჰიტლერელმა შეთქმულებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასძრეს თავიანთი ურდოები, ჰიმლერი ათვალიერებს საკონცენტრაციო ბანაკს მინსკის ახლოს; აქ ათასობით ტყვე საშინელ პირობებში ცხოვრობს.

ფილმი იმით თავდება, რომ უჩვენებენ ჰიტლერზე 1944 წელს თავდასხმის მონაწილეთა „სახალხო გასამართლებას". სასამართლოს ნასახიც არ არის, ეს არის ანგარიშის გასწორება.

ფილმის დემონსტრაცია დამთავრდა. ინგლისის ბრალდების წარმომადგენელი ტრიბუნალს სთხოვს საქმეს დაურთოს ნაჩვენები ფილმი.

11 დეკემბრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 11 დეკემბერი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე გამოვიდა ამერიკის ბრალდების წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტორი. მან განაცხადა, რომ ამ კვირის დარჩენილი დღეების განმავლობაში ბრალდების წარმომადგენლები მოახსენებენ ტრიბუნალს დოკუმენტალურ მტკიცებებს, რომლებიც ეხებიან ბრალდებულთა ბოროტმოქმედებებს ადამიანობისა და ომის წარმოების კანონების წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის ბრალდების წარმომადგენელმა დოდმა, რომელმაც თავისი გამოსვლა მიუძღვნა ჰიტლერელთა იმ დანაშაულებრივი მოქმედების აღნუსხვას, რაც მიმართული იყო უცხოელი მუშების დამონებისაკენ. ამასთან დაკავშირებით ბრალმდებელი იხილავს აგრეთვე საკითხს ჰიტლერელთა არაადამიანური მოპყრობის შესახებ ებრაელებისადმი და უცხოელი მუშებისადმი, რომლებიც წაყვანილ იქნენ გერმანიაში, როგორც მონები.

აღნიშნა რა, რომ ბრალდების ამ პუნქტების დასამტკიცებლად მოყვანილი იქნება ფოტოსურათებიც, ბრალმდებელმა განაცხადა, რომ ჰიტლერელთა მიერ უცხოელი მუშების გარეკა და მათი დამონება მასობრივ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ომის წარმოების კანონებისა და საერთაშორისო სამართლისა, მონებად იყენებდნენ სამხედრო ტყვეებსაც, რომლებსაც ხშირად აიძულებდნენ ემუშავნათ საკუთარი ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ბოროტმოქმედებანი ჩადენილ იქნა ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიც იყო საიმპერიო კაბინეტი, ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი კორპუსი; სს, სა, სდ, უმაღლესი სარდლობის შტაბი, გესტაპო და სხვა.

ბრალმდებელმა განსაზღვრა ბრალდებულთა კონკრეტული პასუხისმგებლობა ამ დანაშაულობათათვის. ზაუკელი, როგორც რწმუნებული მუშახელის შეგროვების საქმეში, პასუხს აგებს უცხოელი მუშახელის შეგროვებისა და დამონებისათვის; შპეერი, როგორც შეიარაღების მინისტრი და ტოდტის ორგანიზაციის ხელმძღვანელი,—ძალადობის გამოყენებისათვის და უცხოელი მუშებისადმი არაადამიანური მოპყრობისათვის, რაც ხშირად იწვევდა მათ დაღუპვას; გერინგი პასუხს აგებს ყველა ამ ზომების გამოყენებისათვის, როგორც გენერალური რწმუნებული ოთხწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში; როზენბერგს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ზომებისათვის, როგორც ოკუპირებული აღმოსავლეთის ოლქების მინისტრს, ფრანკს—როგორც პოლონეთის გენერალ-გუბერნატორს, ზაის-ინკვარტს—როგორც მთავარმართებელს ჰოლანდიაში, კაიტელს — როგორც გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსს. უცხოელ მუშახელთან არაადამიანური მოპყრობა და მისი დამონება სავსებით შეესაბამებოდა ჰიტლერელ ხელმძღვანელთა ყველა თეორიულ და პოლიტიკურ დებულებებს, რომლებმაც გერმანელი ხალხი „ბატონების რასად" გამოაცხადეს. ამ დებულებებს შეიცავენ ჰიტლერელ ხელმძღვანელთა მიერ მათს დოკუმენტებში გამოთქმული აზრები.

1939 წლის 23 მაისს, ჰიტლერის ახალ რაიხსკანცელარიაში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ჰიტლერი, გერინგი, რედერი, ბრაუხიჩი, კაიტელი და სხვები. ამ თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა: „თუ ბედი მიგვიყვანს დასავლეთთან კონფლიქტამდე, მაშინ აღმოსავლეთის ფართო სივრცეების დაპყრობა უნდა გახდეს ჩვენი უპირატესობა, მაშინ ჩვენ შეგვეძლება დავეყრდნოთ ამ რაიონების რესურსებს. არაგერმანული რაიონების მოსახლეობა ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის, როგორც მუშახელის წყარო".

1942 წლის 24 აპრილს ბრალდებულმა ზაუკელმა მისწერა როზენბერგს: „მუშახელის ამ ახალი გიგანტური მობილიზაციის მიზანს წარმოადგენს ჩვენი მისწრაფება გამოვიყენოთ მდიდარი რესურსები, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი შეიარაღებული ძალების მიერ ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით. ეს რესურსები გამოყენებულ უნდა იქნან ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის, აგრეთვე გერმანიის მომარაგების მიზნით. ნედლეული მასალები, აგრეთვე, დაპყრობილი ტერიტორიების მუშახელიც მთლიანად და თანმიმდევრულად უნდა იქნან გამოყენებული გერმანიისა და მისი მოკავშირეების სასარგებლოდ".

რასობრივი ბატონობის „თეორია" საფუძვლად ედო იმ პოლიტიკას, რასაც ჰიტლერელები ატარებდნენ. 1943 წლის 5 მარტს უკრაინის ეგრეთწოდებულმა რაიხსკომისარმა კოხმა კიევში წარმოთქმულ თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ ბატონთა რასა ვართ და მართვა-გამგეობას მკაცრად უნდა ვეწეოდეთ. მე აქ ჩამოვედი, რომ დავეხმარო ფიურერს. მოსახლეობამ უნდა იმუშაოს, იმუშაოს და კიდევ იმუშაოს. ზოგიერთი ეს ადამიანი იფიტება, რადგან მოსახლეობა ვერ ღებულობს საკმაო საჭმელს. მოსახლეობას არ შეუძლია მოითხოვოს საჭმელი. ჩვენ აქ იმისათვის კი არ მოვსულვართ, რომ მანანა დავარიგოთ. ჩვენ აქ მოვედით იმისათვის, რომ შევქმნათ ჩვენი გამარჯვების ბაზა. ჩვენ ბატონების რასა ვართ, და უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე უფრო დაბალი გერმანელი მუშა რასობრივად და ბიოლოგიურად ათასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე აქაური მოსახლეობა".

1943 წლის 4 ოქტომბერს გესტაპოს ხელმძღვანელმა სს რაიხსლაიტერმა ჰიმლერმა პოზნანში სიტყვა წარმოსთქვა სს-ელ გენერლების თათბირზე. ამ სიტყვაში მან განაცხადა: „მე ოდნავაც არ მაინტერესებს, რა მოუვათ რუსებს ან ჩეხებს. ჩვენ წავიყვანთ იმას, რისი მოწოდებაც შეუძლიათ ამ ერებს თავიანთი რასობრივად სუფთა რესურსებიდან, ბავშვების გაყვანის გზითაც კი. კეთილდღეობის პირობებში იცხოვრებენ ეს ერები თუ შიმშილით დაწყდებიან, ეს მე მხოლოდ იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც ჩვენ გვჭირდება ისინი როგორც მონები ჩვენი კულტურის ინტერესებისათვის. არავითარ სხვა მხრივ ისინი მე არ მაინტერესებს. გამოფიტვისაგან დაეცემიან თუ არა ათიათასობით რუსი ქალები იმ დროს, როცა ტანკსაწინააღმდეგო თხრილს იღებენ, ეს მე მხოლოდ ერთი თვალსაზრისით მაინტერესებს: დამთავრებულია თუ არა ეს თხრილი გერმანიისათვის".

შემდეგ ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს სრულიად საიდუმლო მემორანდუმიდან, რომელიც მოწონებულია როზენბერგის მიერ და დათარიღებულია 1944 წლის 12 ივლისით. ამ მემორანდუმში ლაპარაკია ახალგაზრდობის ევაკუაციაზე ცენტრის საარმიო ჯგუფის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან. მემორანდუმში ნათქვამია: „საარმიო ჯგუფს „ცენტრს" განზრახვა აქვს გაგზავნოს იმპერიის ტერიტორიაზე 40-50 ათასი მოზარდი 10-დან 14 წლის ასაკამდე. ახალგაზრდობის ბიურომ უკვე დაიწყო ამის შესახებ მოლაპარაკება ტოდტის ორგანიზაციასთან. მას განზრახული აქვს გამოიყენოს ეს ადამიანები ორწლიანი წვრთნის შემდეგ, როგორც კვალიფიციური მუშები. ეს სწავლება უნდა ჩაატაროს ტოდტის ორგანიზაციამ, რომელსაც მოეპოვება ამისათვის სათანადო ტექნიკური საშუალებანი. გერმანიის დაწესებულებანი განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვენ ამ ღონისძიებას, რამდენადაც ისინი განიცდიან მოწაფეების ნაკლებობას. ამ აქციას მიზნად აქვს არა მარტო თავიდან აიცილოს მტრის სამხედრო ძლიერების გადიდება, არამედ აგრეთვე შეამციროს მისი ბიოლოგიური პოტენციალი მომავალში. ამ იდეას მხარს უჭერს არა მარტო რაიხსფიურერი, არამედ ფიურერიც".

ჰიტლერელებს გაჰყავდათ ოკუპირებული ქვეყნებიდან მუშახელი, ერთმანეთს აშორებდნენ ცოლ-ქმარს, ბავშვებსა და მშობლებს. გაყვანა ხორციელდებოდა ისეთი მეთოდებით, რომ ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე გერმანიაში სამუშაოზე ასიათასობით ადამიანები იღუპებოდნენ. ფრანკმა, როგორც პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა, განახორციელა ასიათასობით პოლონელის წაყვანა გერმანიის მონობაში.

თავის დღიურში 1940 წლის 10 მაისს ფრანკი სწერდა: „გენერალ-გუბერნატორი აგვარებს პოლონეთის მუშახელის იძულებითი შეგროვების პრობლემას. მუშახელის იძულებით გაგზავნა ხორციელდება იმის გამო, რომ ნებაყოფლობით შეუძლებელია საკმაო რაოდენობის მუშახელის გაგზავნა გერმანიაში სამუშაოდ. იძულებითი შეგროვება ითვალისწინებს პოლონელი მამაკაცებისა და ქალების დაპატიმრებას. გენერალ-ფელდმარშალმა გერინგმა რამდენიმე ხნის წინათ თავის გრძელ სიტყვაში აღნიშნა იმპერიაში ერთი მილიონი მუშის გაგზავნის საჭიროება. აქამდე გაგზავნილია ასსამოცი ათასი. დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიხდება. ამიტომ აუცილებელია ინსტრუქტაჟი გავუწიოთ რაიონების უფროსებს და ქალაქების კომენდანტებს იმნაირად, რომ უკვე ოპერაციის დასაწყისშივე დარწმუნებული ვიყოთ მის წარმატებაში. ახალგაზრდა პოლონელების დაპატიმრება, რომლებიც ესწრებიან წირვა-ლოცვას ან კინოს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს პოლონელთა ნერვიულობას. საერთოდ რომ ვთქვათ, არ შეიძლება იმის საწინააღმდეგო რაიმე გვქონდეს, რომ მუშაობის უნარის მქონე ეს ახალგაზრდები ქუჩებს მოვაშოროთ. საუკეთესო მეთოდი იქნებოდა მასობრივი ჩხრეკის მოწყობა, და იგი მთლიანად გამართლებული იქნებოდა. მასობრივი ჩხრეკის დროს საჭიროა შევაჩეროთ პოლონელი ქუჩაში და ვკითხოთ მას, რას აკეთებს იგი, სად მუშაობს და ასე შემდეგ".

1943 წლის 17 აპრილს საიმპერიო მინისტრმა ლამერსმა საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა ჰიმლერს საგენერალ-გუბერნატოროს მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში იგი სწერდა: „მუშახელის შეგროვება სწარმოებდა მეტად თუ ნაკლებად ძალდატანებითი მეთოდებით, როცა მაგალითად, შრომის განყოფილებების მიერ დანიშნული ჯგუფები იჭერდნენ პოლონელებს ეკლესიებსა და კინოებში და გზავნიდნენ მათ იმპერიაში".

სხვა დოკუმენტში, რომელიც ეხება პოლონეთის ფერმების კონფისკაციას და გერმანიაში პოლონელი სასოფლო-სამეურნეო მუშების გაგზავნას, [illegible] რებულია ბრალმდებლის მიერ, ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო განვითარების აღმოსავლეთ-გერმანიის კორპორაციამ მოახდინა პოლონეთის დიდძალი ფერმების კონფისკაცია. პოლონეთის ამ ფერმების ყოფილი მფლობელნი თავიანთი ოჯახებიანად გაიგზავნენ გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

1942 წლის 26 ნოემბერს ზაუკელი, როგორც გენერალური რწმუნებული მუშახელის დარგში, თავის ცირკულარში ქვემდგომ ინსტანციებს სწერდა: „უშიშროების პოლიციის და სდ უფროსთან საკითხის შეთანხმების შემდეგ ებრაელები, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ აქ რაიმე სამუშაოზე, ევაკუირებულ უნდა იქნან გერმანიის ტერიტორიიდან და შეცვლილ იქნან პოლონელებით, რომლებსაც ჩამოიყვანენ საგენერალ-გუბერნატოროდან".

ამ ადგილას ზაუკელის დამცველმა სიტყვა შეაწყვეტინა ბრალმდებელს, და განაცხადა, რომ მისი მარწმუნებელი სადავოდ ხდის ამ დოკუმენტების სინამდვილეს. ხელმოწერა ამ დოკუმენტებზე, აცხადებს დამცველი, გაკეთებულია მანქანაზე და არა ხელით. დამცველი აგრეთვე აცხადებს, რომ რამდენადაც მას არ მისცემია შესაძლებლობა წინასწარ გასცნობოდა ამ დოკუმენტებს და ამ საკითხის გამო მოელაპარაკა ბრალდებულ ზაუკელთან, იგი სთხოვს ტრიბუნალს გადასდოს ამ დოკუმენტების გამოქვეყნება. სასამართლოს თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი აცხადებს, რომ დამცველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ყველა ამ დოკუმენტს ხვალ.

ამით თავმჯდომარე დახურულად აცხადებს ტრიბუნალის საღამოს სხდომას.

12 დეკემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 12 დეკემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა იხსნება ამერიკის ბრალდების წარმომადგენლის დოდის გამოსვლით. მან ტრიბუნალს მოაგონა გუშინდელი საღამოს სხდომის შინაარსი. ბრალმდებლის მიერ ბრალდებულ ფრანკის დღიურის ხსენებისას ფრანკის დამცველი აცხადებს, თითქოს ბრალდება არა სწორად სარგებლობს ამ დოკუმენტით, ვინაიდან მოჰყავს მხოლოდ მისი ნაწილი. იგი თხოულობს გადასცენ მის განკარგულებაში ფრანკის მთელი დღიური, რომელიც შეიცავს რამდენიმე დიდ ტომს, აგრეთვე ფრანკის ოთხი სიტყვა, რომლებიც თითქოს მის მიერ მომზადებული იყო 1942 წელს და რომლებიც ჰიტლერმა უარჰყო.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი დამცველს ეუბნება, რომ ფრანკის დღიური გადაცემულ იქნება დაცვის ოთახში.

ამის შემდეგ ბრალმდებელი დოდი აყალიბებს ჰიტლერელ შეთქმულთა ბრალდებას იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც გათვალისწინებული იყო ევროპის მოზრდილი მოსახლეობის გერმანელთა მონებად გადაქცევისათვის. მრავალი დოკუმენტით, რომლებიც წამოღებულია აღმოსავლეთ ტერიტორიების საქმეთა ჰიტლერელ მინისტრ როზენბერგის არქივებიდან და მუშახელის მობილიზაციის საკითხებში ჰიტლერის რწმუნებულ ზაუკელის არქივებიდან, ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ჰიტლერელები სისტემატურად და გულცივად მიერეკებოდნენ გერმანიის მონობაში მილიონობით რუსს, უკრაინელს, პოლონელს, ფრანგს, ბელგიელს, ჰოლანდიელს და სხვებს. ჰიტლერელები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. „მუშახელის შეგროვება" ადამიანებზე აშკარა ნადირობად გადაიქცა.

ასეთმა „შეგროვებამ" ოკუპირებული რაიონების მოსახლეობის გადამჭრელი წინააღმდეგობა გამოიწვია. ჰიტლერელმა შეთქმულებმა გადასწყვიტეს შეგროვება სამხედრო-იძულებითი საშუალებით მოეწყოთ. ეკონომიური საგეგმო ბიუროს სპეციალურ სხდომას ზაუკელმა მოახსენა, რომ „შემგროვებლები" სულ უფრო ხშირად შეიარაღებულ თავდასხმათა მსხვერპლნი ხდებიან. გერმანული შემგროვებელი ბიუროს უფროსი ვარშავაში დღისით მოკლულ იქნა თავის კანტორაში. ზაუკელი მოითხოვდა პოლიციის მაშველ ძალებს „შეგროვების" ჩასატარებლად და დახმარებას სთხოვდა ბრალდებულ როზენბერგს.

1942 წლის 3 ოქტომბრის სპეციალური წერილით ბრალდებული ზაუკელი როზენბერგისაგან მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას ოკუპირებული რაიონებიდან მუშახელის გერმანიაში ძალად წაყვანისათვის. „ფიურერმა,—სწერდა ზაუკელი,—შეიმუშავა შეიარაღებათა ახალი და მეტად სასწრაფო გეგმა, რომელიც მოითხოვს დამატებით ორი მილიონი უცხოელი მუშის მობილიზაციას. ფიურერმა ახალი უფლებები მომანიჭა და დამავალა მივიღო ყოველგვარი ღონისძიება, რასაც კი საჭიროდ დავინახავ, იმისათვის, რომ რადაც უნდა დაჯდეს უზრუნველვყო მუშახელის მობილიზაცია გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის, როგორც თვით გერმანიიდან, ისე პროტექტორატიდან, პოლონეთის საგუბერნატოროდან და სხვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან. დამატებითი მუშახელის უმეტესობა წაყვანილ უნდა იქნას ამას წინათ ოკუპირებული აღმოსავლეთი ტერიტორიებიდან, განსაკუთრებით უკრაინის საიმპერიო კომისარიატიდან. ამიტომ უკრაინის საიმპერიო კომისარიატმა უნდა მოგვცეს 225 ათასი მუშა 1942 წლის 31 დეკემბრამდე და დამატებით 225 ათასი—1943 წლის 1 მაისისათვის".

ზაუკელი ბრძანებას იძლევა — მუშახელის მისაღებად არ მოერიდონ არავითარ ულმობელ ღონისძიებას. ცოტა უფრო გვიან ზაუკელი ოკუპირებულ რაიონებში გზავნის თავის სპეციალურ წარმომადგენელ პიუკერტს, რომელსაც ავალებს უზრუნველჰყოს ყოველდღიურად ხუთი ათასი მონის გაგზავნა. ტიპური გერმანული პედანტობით ზაუკელი სთხოვს როზენბერგს (1943 წლის 17 მარტის წერილი) ბელორუსიიდან გერმანიაში ყოველდღე გზავნოს 500 კაცი, „ცენტრალური ეკონომიური ინსპექციიდან"—500 კაცი, უკრაინიდან—3.000 კაცი, „სამხრეთი ეკონომიური ინსპექციიდან"—1.000 კაცი. ზაუკელი აფრთხილებს, რომ „1943 წლის 1 აპრილიდან დღიური ნორმა ერთიორად უნდა გადიდდესო".

ზაუკელი არ კმაყოფილდება წერილების გზავნით და პირადად მიემგზავრება ოკუპირებულ რაიონებში. 1943 წლის 18 ივლისს ზაუკელმა კაუნასში წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოითხოვა „მნიშვნელოვნად უფრო მეტი ლიტველი მუშახელის გაგზავნა გერმანიაში". ცოტა უფრო ადრე იგი იყო რიგაში, სადაც ჰიტლერელ კომისარს წინადადება მისცა არა უგვიანეს 1943 წლის აგვისტოსი გაეგზავნა გერმანიაში 183 ათასი კაცი და ამასთან მოითხოვა, რომ მათ შორის სულ მცირე 30 ათასი ახალგაზრდა უნდა იყოსო.

როგორც სჩანს, ზაუკელის ბრძანებანი ძნელად სრულდებოდა. იგი იძულებული გახდა დასახმარებლად მიემართნა გერმანიის არმიისათვის, რომელსაც გარნიზონები ჰყავდა ყველა ოკუპირებულ რაიონში. სამხედრო ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში 1943 წლის 17 აგვისტოს ზაუკელი წინადადებას იძლეოდა: „თქვენ უნდა შეაგროვოთ და დაუყოვნებლივ გაგზავნოთ გერმანიაში მთელი მუშახელი, თქვენს ტერიტორიაზე დაბადებული 1926 და 1927 წლებში. ჩაწერა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1943 წლის 30 სექტემბრისა".

„შეგროვების კამპანია,—ამბობს ბრალმდებელი,—წარმატებით დამთავრდა. ზაუკელს შესაძლებლობა ჰქონდა ეცნობებინა მაშინდელი შეიარაღებათა მინისტრის შპეერისათვის, რომ მას, ზაუკელს, შეუძლია გაუგზავნოს მილიონი მუშა 1943 წლის ოქტომბრამდე, გარდა ამისა, იგი ჰპირდება 700 ათასი მუშის გაგზავნას სოფლის მეურნეობისათვის. ჰიტლერელები მოურიდებლად ასწერდნენ, თუ რა საშუალებით მიაღწიეს ამას. ზაუკელის არქივში ნაპოვნ მემორანდუმში ნათქვამია: „ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ კომიკური სურათისა, თუ როგორ ხდება მილიონობით მუშახელის შეგროვება ოკუპირებული აღმოსავლეთი ტერიტორიებიდან, რათა შევავსოთ გერმანიის მუშახელის ნაკლებობა მას შემდეგ, რაც სამხედრო ტყვეები ბუზებივით გაწყდნენ შიმშილისაგან. „შეგროვების" (ბრჭყალები ნახმარია დოკუმენტში) ჩვენ მიერ გამოყენებულ მეთოდს ალბათ სათავე აქვს მონათვაჭრობის ყველაზე შავბნელ პერიოდში. გაჩაღებულია ნამდვილი ნადირობა ადამიანებზე. მხედველობაში არ არის მიღებული არავითარი მოსაზრება ჯანმრთელობის ან ასაკის მიხედვით".

ფაშისტურ „შეგროვებას" ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობამ უპასუხა წინააღმდეგობის გაძლიერებით და პარტიზანული ბრძოლის გაფართოებით. 1942 წლის 21 დეკემბერს როზენბერგმა ზაუკელს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სწერდა: „მოხსენება, რომელიც მე მივიღე, გვიჩვენებს, რომ პარტიზანული რაზმების რაოდენობის გადიდება ოკუპირებულ აღმოსავლეთ რაიონებში იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ მუშახელის შეგროვებისა ან ძალით მასობრივად წაყვანისათვის გამოყენებული მეთოდები ისეთია, რომ ადამიანები, რომელთაც ეს ბედი მოელით, ამჯობინებენ თავი დააღწიონ მას და წავიდნენ ტყეებში ან პარტიზანულ რაზმებში შევიდნენ".

როზენბერგმა თავის წერილს დაურთო მოხსენება, რომელიც გვიჩვენებს „შეგროვების მეთოდებს", რასაც ზაუკელი იყენებდა. მოხსენებაში აწერილია, რომ ბევრ შემთხვევაში გერმანელი პოლიციელები სწვავდნენ მთელ სოფლებს, რომელთა მცხოვრებნიც უარს ამბობდნენ გერმანიაში სამუშაოდ „წასვლაზე". „როდესაც ბრძანება მივიდა,—ნათქვამია მოხსენებაში,—გავგზავნეთ 25 მუშა, არავინ არ გამოცხადდა. ყველა მოზრდილი გაიქცა. მაშინ მივიდა გერმანიის პოლიცია და ცეცხლი წაუკიდა იმათ სახლებს, ვინც გაიქცა. მყისვე გაჩნდა უზარმაზარი ხანძარი, ვინაიდან ორი თვის განმავლობაში წვიმა არ ყოფილა. გარდა ამისა, პურის მოსავალი ბეღლებში ეწყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა მოხდა. ხალხს, რომელიც ხანძრის ადგილას მოგროვდა, მისი ჩაქრობა აუკრძალეს. პოლიცია სცემდა და აპატიმრებდა მოსულთ. ამავე დროს პოლიციელები ცეცხლს უკიდებდნენ სხვა სახლებს".

შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სხვა სოფლებში (სახელწოდების მიხედვით, ეს ამბები ხდებოდა ბელორუსიაში) პოლიციამ მძევლებად დააპატიმრა მოხუცები და ბავშვები და დახვრეტას ემუქრებოდა მათ, თუ შრომისუნარიანები გერმანიაში სამუშაოდ არ წავიდოდნენ.

ბრალმდებელ დოდს მოჰყავს სულ ახალ-ახალი დოკუმენტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ ეგრეთწოდებული „მუშახელის შეგროვება" იყო ულმობელი და მხეცური ნადირობა ადამიანებზე, ამასთან იტანჯებოდნენ არა მარტო უშუალო ობიექტები გერმანელთა ნადირობისა. ამ ნადირობის მსხვერპლთა მშობლებს, ბავშვებს და შორეულ ნათესავებსაც კი საშინლად სდევნიდნენ, სცემდნენ, აპატიმრებდნენ და კიდეც ხვრეტდნენ. ჰიტლერელებმა შორს მიიტოვეს უკან საშუალო საუკუნეების მონათვაჭრები. მთელი სოფლების სურსათის მარაგიანად გადაწვა მთელი რაიონების მოსახლეობას შიმშილითა და სიცივით აუცილებელ სიკვდილს უმზადებდა. ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს ვრცელი გერმანული დოკუმენტიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ მონებზე ფაშისტური ნადირობის შედეგად მთელი რაიონები და ოლქები უდაბნოდ გადაიქცნენ—მოსახლეობა გაიქცა, დასახლებული პუნქტები აღგვილ იქნენ პირისაგან მიწისა. ბრალდება ამტკიცებს, რომ ბრალდებულებმა როზენბერგმა და განსაკუთრებით ზაუკელმა არა თუ იცოდნენ ეს, არამედ ამ ულმობელ ღონისძიებათა ინიციატორებიც იყვნენ. დოდი სასამართლოს უდგენს ბრალდებულ როზენბერგისადმი ერთ-ერთი ფაშისტი სატრაპის, ვინმე პაულ რააბის წერილს, რომელშიც რააბი იკვეხნის, თუ რა საშუალებებით მიაღწია მან წარმატებას „შეგროვებაში". „მე გადავწყვიტე,—სწერს რააბი,—მეჩვენებინა სულ უფრო ურჩი უკრაინელი ახალგაზრდობისათვის, რომ ჩვენი ბრძანებანი უნდა შესრულდეს. მე ვებრძანე დაეწვათ ყველა ურჩის სახლები".

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები დ. დუნდუა და დ. სიმონიძე საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი. ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება

საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივის ვალდებულებები

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის მოწოდებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ მოწონებით შეხვდნენ თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები. შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად მათ იკისრეს:

1945 წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის, იანვრისა და თებერვლის დავალება—25 თებერვლისათვის; 1945 წლის შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შეასრულონ 15 პროცენტის გადაჭარბებით; მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას მომავალ წელს; პროდუქციის თვითღირებულება იანვარსა და თებერვალში 1945 წლის ამავე პერიოდთან შედარებით შეამცირონ 5 პროცენტით; გასწიონ ელექტროენერგიის ეკონომია, აითვისონ ალუმინის ჰურჭლის მასობრივი წარმოება; აითვისონ ჰედადი თუჯის წარმოება და 25 თებერვლისათვის გამოუშვან ასეთი თუჯისგან დამზადებული პროდუქცია; 25 თებერვლისათვის გამოუშვან კვარაცხელიას სისტემის თამბაქოს ფოთლის ასაცმელი მანქანა—კ-5.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა აგრეთვე საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის აითვისოს რთული სატრაქტორო დეტალების დასამზადებლად ახალი ტექნოლოგიური ოპერაციები, გააუმჯობესოს მუშათა ტექნიკური სწავლების ხარისხი და 25 თებერვლამდე კვალიფიკაცია აუმაღლოს ქარხანაში სამუშაოდ მოსულ 120 კაცს.

მქსოველები ახალი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან

— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავი უნდა აღვნიშნოთ ახალი საწარმოო წარმატებებით. აქეთკენ მოგვიწოდებს მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვაც. ჩვენი ფაბრიკა, როგორც ყოველთვის, ახლაც ისახელებს თავს, — განაცხადა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა ამხ. ფ. აფაქიძემ მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო თბილისის საორთქლმავლო დეპოსა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივების მიმართვების განსახილველად.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა მკერავმა მ. ფანოზაშვილმა. მან პირობა დადო, რომ ყოველდღიურ დავალებას 250 პროცენტით გაანაღდებს. სამკერვალო საამქროს უფროსმა გრ. არუთინოვმა იკისრა იანვრისა და თებერვლის გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულოს. სტახანოველმა ა. მაჩნიევმა განაცხადა, რომ მიცემულ დავალებას 700 პროცენტით გაანაღდებს.

დეპოელებისა და მანქანათმშენებლების მიმართვას ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა. მკერავებმა გადასწყვიტეს ჩაებან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს: თებერვლის გეგმა შეასრულონ 20 რიცხვისათვის, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება აიყვანონ 95,6 პროცენტამდე, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 20,5 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირონ 2,6 პროცენტით, გასწიონ ნედლი მასალის ეკონომია მაღეულის ქსოვილებზე 2,5 პროცენტი, ბამბეულზე—2 და აბრეშუმზე—3 პროცენტით.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი.

წერილი რედაქციის მიმართ

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ საწუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე — დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა—დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით—ღალისი (ახლა — ყიზილ-ირმაკი), მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნაწილში ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ანვითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს. მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლივ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადიან. ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო—იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი დასავლეთით.

ამ ახლად შექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასპერთა, ე. ი. იბერთა სახელმწიფო—წინა აზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუაწლებში ვრცელდება კალახენასა და ადიაბენამდე[1]), ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი[2]) — ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს მკვიდრ მცხოვრებლებთან[3]).

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო, კოლხეთი, ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს „ისტორიის მამა"—ჰეროდოტე[4]).

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად — ეგრისის, სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი-მხედართმთავარი ქსენოფონტე, რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გირესუნი) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი ათიათასიანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს[5]).

სამხრეთ, უფრო სწორად სამხრეთ-დასავლეთ, საქართველოს მთელი ტერიტორია,—ე. ი. კოლხეთის ტერიტორია მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით,—უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი, თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად, მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან. მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა".[6]) ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას". „ლაზები, — ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი,—ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელწოდებით, და ალბათ არც უსაფუძვლოდ"...[7]).

მაგრამ ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ—რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის, ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც, თუმცა დასავლეთმა კოლხეთმა ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება.

დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში ჭანების, ხალდების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას—„ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი", მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს ასე: „მეგრელთა ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი".

ტრაპეზუნტის იმპერიის (1204-1461 წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინოპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს", ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს. ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს მარის ცნობა: „კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი,... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ—გიუმიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ—სანაპიროს ყველა მცხოვრებს"[8]).

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ძირითადი ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ვახტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს), და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპერის (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდევს საერთო-ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა. მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის—ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მეფე დავით III 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), ჰარქი და აპაჰუნიქი (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ხალდოი — არიჭი (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კლისური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორ-მაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები—ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა"), ოპიზა, დოლის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა გიორგი მერჩული, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საკმარისია დავასახელოთ დიდი რუსთაველი, შეუდარებელი ოსტატები ბექა ოპიზარი და ბექენ ოპიზარი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე—იოანე პეტრიწი, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე,—რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედასამშობლოს სამხრეთმა საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შესწყვიტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. მეთხუთმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები—ოსმალო თურქები.

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დროისათვის საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ-საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ჰქმნის ერთიან საგარეო-პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).

თურქებს, რომლებმაც ამ დროისათვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ დაეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შესძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს არ ჩამქრალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეპყრათ" და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს—თურქეთსა და ირანს შორის—„ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაჭნეშიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს (ავტორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება)—სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა".

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შეწევნით, ხოლო ზავის შემთხვევაში — დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითვე კუთვნილი მიწები და ადგილები".

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ყველა ომში და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები—ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი —აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწაწყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტაანისა (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გაჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ სდუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები—მევენახეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გადატაკდა, მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას—მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი, იქ, საიდანაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიაც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არაფერი დიდებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამლევს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შესძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, ამოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან აღიარონ ეს. თურქეთის მთავრობამ 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ-საქართველოს სამთავრო—სამცხე და მას გურჯისტანის, ე. ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი—„საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი" („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გიურჯისტან"), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აწერილია ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.

მეორე ვილაიეთი—ტრაპეზუნტისა—წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკამდე (ძველი ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1) ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე, 2) ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ქ. ორდუმდე, 3) ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე, ცენტრით ქ. სამსუნში და 4) გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიში. ИКОИРГО, ტ. 7, დამატება). ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის ჯანიკი—ჭანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.

თურქულ ენციკლოპედია „ჰაამუს-ულ-ალამში" ნათქვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას".

სამხრეთმა საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორიცაა იმერა (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბორშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს—არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად სწერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი? განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ს. ჯანაშია, პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ნ. ბერძენიშვილი, პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

1) სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, §§ 12-13.
2) სტრაბონი, იქვე, წ. XI, თ. XIV, § 5; პლინიუსი, ბუნების ისტორია, წ. VI, §§ 28-29.
3) აპიანე, მითრიდატეს ომები, 101; სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თ. III, § 28.
4) ჰეროდოტე, IV 37, IV 40, I 104, I 110.
5) „ანაბასისი", წ. IV, თ. 8; წ. V, თ. 3.
6) „გუთებთან ომის შესახებ", VIII 2.
7) II, 18, III 5.
8) თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან. გვერდი 608.

ომის დამნაშავეთა გასამართლება ფინეთში

ჰელსინკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ომის დამნაშავეთა საქმის გამო სასამართლოს სხდომა დაიწყო მთავარი ბრალმდებლის იუსტიციის კანცლერ ტარიანეს სამახსოვრო ბარათის გარჩევით, რომელიც შეეხებოდა გაერთიანებული ერების სამშვიდობო ინიციატივის ზოგიერთ ფაქტს. ბარათში ხაზგასმით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა რიუტიმ, პრემიერ-მინისტრმა რანგელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტინგმა, თავდაცვის მინისტრმა ვალდენმა, აგრეთვე მარშალმა მანერჰეიმმა განიხილეს და უარჰყვეს წინადადება საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

სასამართლოს სხდომაზე დიდი ინტერესი გამოიწვიეს დოკუმენტებმა, რომლებიც ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიამ წარუდგინა მინისტრთა საბჭოს და გადაეცა სასამართლოს მთავარ ბრალმდებელს. გადაცემულ დოკუმენტთა შორის არის: ცნობა „საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან", რომელიც საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნდა და რადიოთი გადაცემულ იქნა 1941 წლის 18 ნოემბერს; „საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შესახებ"—ცნობა პრეს-კონფერენციის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში შესდგა 1944 წლის 22 აპრილს; საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების განცხადება, მიმართული ჰიტლერული გერმანიის სატელიტების—უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ფინეთისადმი, რაც გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში" 1944 წლის 13 მაისს.

ამის შემდეგ სასამართლომ მოისმინა ბრალდებულის, ყოფილ პრეზიდენტ რიუტის სიტყვა.

ომის დამნაშავეთა საქმის გამო სასამართლოს 10 და 11 დეკემბრის მე-4 და მე-5 სხდომები სასამართლოს ახალი თავმჯდომარის მელერის დროსაც ისეთსავე ნაკლებად ოფიციალურ ვითარებაში მიმდინარეობდა, როგორც ნოემბრის შუა რიცხვებში შემდგარი სასამართლოს პირველი სამი სხდომა. ომის დამნაშავეთა საქმის გამო სასამართლო არ იცავს ელემენტარულ საპროცესო ნორმებს.

ჟურნალისტთა წრეებში ფიქრობდნენ, რომ 10-11 დეკემბერს ტანერისა და კივიმაკის წინააღმდეგ მთელი რიგი ახალი საბრალმდებო მასალის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო კვლავ გამოიტანდა გადაწყვეტილებას თუნდაც ომის ამ ორი ყველაზე დიდი დამნაშავის დაპატიმრების შესახებ. მაგრამ ეს არ მოხდა და სასამართლომ ზემოხსენებული დამატებითი მასალის მოსმენის შემდეგ 11 დეკემბერს ნაშუადღევს ბრალდებულ რიუტის საშუალება მისცა წარმოეთქვა 2—საათიანი თავდასაცავი სიტყვა.

ჰელსინკი, 12 დეკემბერი. (საკდესი). ომის ფინელ დამნაშავეთა საქმის გამო სასამართლოს სხდომაზე გუშინ გამოქვეყნდა დოკუმენტი „ბარბაროსას გეგმა", საიდანაც ნათელია, რომ ფინეთის წინანდელი ხელმძღვანელები წინასწარ და ზუსტად შეთანხმდნენ სსრ კავშირზე თავდასხმაში მონაწილეობის შესახებ და რომ ფინეთის მონაწილეობა ზუსტად იყო გათვალისწინებული ჰიტლერის აგრესიულ გეგმებში. სასამართლოს 11 დეკემბრის სხდომის მეორე ნაწილში დაიწყო ბრალდებულ რიუტის სიტყვის მოსმენა. სიტყვა წინასწარ იყო მომზადებული და მისი მიზანია გაამართლოს ფინეთის იმ წრეების მოქმედება, რომლებიც ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ყოველგვარი სამხედრო გეგმისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ. 11 დეკემბერს რიუტიმ თავისი სიტყვის ნახევარზე ნაკლების წაკითხვა მოასწრო.

დღეს სასამართლოს სხდომა დაიწყო სასამართლოს თავმჯდომარის მელერის შეკითხვით იუსტიციის კანცლერ ტარიანესადმი, აქვს თუ არა მას რაიმე შენიშვნა. ტარიანემ სთქვა: „იმის საფუძველზე, რაც განცხადებულ იქნა რიუტის გუშინდელ სიტყვაში, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვის გაგრძელებაში იქნება ისეთი მომენტები, რომლებიც კანონის მიხედვით ამ სასამართლო პროცესზე განხილულ უნდა იქნას დახურულ სხდომაზე. მე სასამართლოს განსახილველად ვაყენებ საკითხს, საჭიროა თუ არა ასეთი გადაწყვეტილების მიღება".

წინააღმდეგ გამოვიდა რიუტის დამცველი პროკოპე.

ამის შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბიროდ. სასამართლოს სხდომა განახლდა 12 საათსა და 45 წუთზე. სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ამჟამად საფუძველი არ არსებობს სასამართლოს სხდომის დახურულად ჩატარებისათვის. ამასთან ერთად სასამართლომ წინადადება მისცა ბრალდებულ რიუტის არ გასცდეს საბრალდებო დასკვნის ფარგლებს. მაგრამ რიუტის სიტყვის შემდეგი ნაწილი არ განსხვავდებოდა ადრე გამოქვეყნებული ნაწილისაგან. სასამართლო იძულებული გახდა შეეწყვეტინებინა სიტყვა ბრალდებულისათვის და კვლავ გავიდა სათათბიროდ, რის შემდეგაც წინადადება მისცა ბრალდებულ რიუტის არ დაუშვას არავითარი შეურაცხმყოფელი შენიშვნები გაერთიანებული ერების მისამართით. ბრალდებულ რიუტის სიტყვის მოსმენა, რომელიც შედგენილია აშკარა პროპაგანდისტული ანტისაბჭოთა მიზნით, კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

სტამბოლში გამართული ფაშისტური დემონსტრაციის შემდეგ

სოფია, 9 დეკემბერი. (საკდესი). სტამბოლიდან აქ მიღებული ცნობებით, თურქეთის პოლიტიკურ წრეებში ამჟამად თავს იჩენს დაბნეულობა და სურვილმა შეამცირონ სტამბოლში მომხდარი ფაშისტური უწესობების მნიშვნელობა.

პირველ დღეს, როდესაც ფაშისტური დემონსტრაცია მოხდა, თურქეთის ხელისუფალთ ანკარაში აშკარა ტენდენცია ემჩნეოდათ ხაზგასმით აღენიშნათ დემონსტრაციის მასშტაბი. მაგალითად, მეჯლისის პარტიული ჯგუფის სხდომაზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დემონსტრანტების რიცხვი 2-3 ათასამდე კაცს შეადგენდა, ოფიციოზის გუშინდელმა გამოცემამ კი ეს ციფრი 6 ათასამდე აიყვანა, ხოლო ანატოლიის სააგენტოს კომუნიკე რამდენიმე საათის შემდეგ ამტკიცებდა, 20 ათასი დემონსტრანტი იყოო.

მაგრამ მეორე დღეს ხელისუფლებმა ტაქტიკა შეიცვალეს. ანატოლიის სააგენტოს ბიულეტენში გამოჩნდა „შესწორება", რომელშიც იუწყებოდნენ, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა არა 20 ათასი, არამედ სულ ორი ათასი კაცი.

ანკარის ჟურნალისტთა წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ განცხადება პრესის დეპარტამენტის დირექტორისა, რომელიც უარჰყოფს საკდესის ანკარელი კორესპონდენტის ცნობაში აღნიშნულ მითითებას, სტამბოლში გამართულ დემონსტრაციას საბჭოთა კავშირისადმი მტრული ხასიათი ჰქონდაო, მიზნად ისახავს გამოხატოს თურქეთის თვალსაზრისი მომხდარი ამბების შესახებ იმდენად არა საშინაო, რამდენადაც საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისათვის. (უნდა ითქვას, რომ თურქეთის პრესის დეპარტამენტის დირექტორის განცხადება უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე საბჭოთა პრესაში დაიბეჭდებოდა საკდესის კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც მას არ მოეწონა).

აგრეთვე გამოსთქვამენ რწმენას, რომ თურქეთისათვის ხელსაყრელი არ არის ამჟამად თავისი თავი დასახოს ისეთ მხარედ, რომელიც პროვოკაციულად ამწვავებს თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ თურქები ყოველნაირად შეეცდებიან უარჰყონ, რომ დემონსტრაციას ფაშისტური და ანტისაბჭოთა ხასიათი ჰქონდა, თუმცა არის ისეთი ფაქტები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას სწორედ ასეთი თვალსაზრისით.

სტამბოლში 4 დეკემბერს გამართული ფაშისტური დემონსტრაციის მონაწილეები რუსების მისამართით გაიძახოდნენ მუქარის სიტყვებს. ტრამვაი და ავტობუსები დაფარული იყო ანტისაბჭოთა ხასიათის წარწერებით, და მოსპობილ იქნა მაღაზია, რომელიც საბჭოთა ლიტერატურას ჰყიდდა.

ამჟამად თურქეთის ხელისუფალნი ცდილობენ დემონსტრაცია წარმოადგინონ როგორც „სტიქიური მოვლენა" და რომ თითქოს მოხდება გამოძიება „დამნაშავეთა აღმოსაჩენად".

ჟურნალისტთა წრეებში ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ეჭვობენ, რომ სტამბოლის ხელისუფლებმა არათუ იცოდნენ დემონსტრაციის მომზადების ამბავი და ხელს არ უშლიდნენ მას, არამედ ანკარიდან მიღებული იყო მისი მოწყობის სანქციაც.

ამასთანავე, მიღებული ახალი ცნობებით, საქმე მხოლოდ სტამბოლში გამართული ფაშისტური დემონსტრაციით როდი დამთავრებულა. იმავე დღეს, 4 დეკემბერს, ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა იზმირში, ხოლო ერთი დღის შემდეგ—ბურსაში.

ტრუმენის, ეტლისა და კინგის ერთობლივი განცხადება

ვაშინგტონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა 8 დეკემბერს გამოაქვეყნა ტრუმენის, ეტლისა და კინგის ერთობლივი განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ წარმოებისა და რესურსების გაერთიანებული კომიტეტი და ნედლეულის ერთობლივი გამოყენების კომიტეტი ლიკვიდირებული იქნებიან 31 დეკემბერს. ინგლის-ამერიკის გაერთიანებული კომიტეტი სურსათის საკითხებზე ლიკვიდირებული იქნება 1946 წლის 30 ივნისს ან უფრო ადრე, თუ ამას შესაძლებელს გახდიან გარემოებანი.

მაგრამ განცხადებაში მოცემულია წინადადება, რათა სათანადო კომიტეტებთან შექმნილმა კომისიებმა, რომელთა გამგებლობაში არის ისეთი დეფიციტური საქონელი, როგორიცაა ბამბა, ქსოვილი, კალა, კაუჩუკი, ბეწვეული და ტყავი, თავიანთი საქმიანობა განაგრძონ მანამდე, სანამ საგრძნობი იქნება აღნიშნული საქონლის ნაკლებობა.

განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ სასურსათო საკითხებზე გაერთიანებული კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ შესაძლო იქნება დარჩეს რამდენიმე კომისია სურსათის სხვადასხვა სახეების მიხედვით.

ტრუმენის, ეტლისა და კინგის განცხადება ამავე დროს გამოქვეყნდა აგრეთვე ლონდონსა და ოტავაში.

დე გოლის სიტყვა

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). 10 დეკემბერს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში გენერალმა დე გოლმა უწინარეს ყოვლისა მოუწოდა თავის მსმენელთ „თვალი გაუსწორონ სიძნელეებს, რომლებიც კიდევ არსებობენ და რომლებიც გარდუვალი ხვედრია აღმავალი ხალხისა".

დე გოლმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი მდებარეობს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის, საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესები უკარნახებენ მას მკაცრი წონასწორობა ჰქონდეს ამ ორ სახელმწიფოს შორის და „მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებით მეგობრობა დაიცვას აღმოსავლეთთან და დასავლეთთან, რამდენადაც ეს საფრანგეთზეა დამოკიდებული".

შემდეგ დე გოლმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმ უმაგალითო სიძნელეებისა, რასაც საფრანგეთი განიცდის, იგი თანდათან და წარმატებით ადის აღმართზე. მან დასძინა, რომ მოძველებული და დაზიანებული შახტები იძლევიან ქვანახშირის ომამდელი რაოდენობის 95 პროცენტს, თითქმის მიღწეულია სახელმწიფო ფინანსების, ფულის ტრიალის, ფასების, ხელფასის სტაბილიზაცია. ცხადია, სთქვა დე გოლმა, ჩვენი ქვეყნის განვითარება არ შეიძლება მიმდინარეობდეს შეფერხებათა და შერყევათა გარეშე, ვინაიდან, როცა დაკარგულია ნაციონალური დოვლათის ნახევარი, არავითარი შესაძლებლობა არ არის დაცულ იქნას ცხოვრების წინანდელი დონე, სანამ საერთო შრომა არ შექმნის დანაკლის რესურსებს. გენერალმა დე გოლმა მოუწოდა ეროვნული ერთიანობისაკენ, რაც უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ საერთო ინტერესები სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის და რომ საფრანგეთის საზოგადოების ყველა ნაწილმა ანგარიში უნდა გაუწიოს ერთმანეთს.

მუსერტს სიკვდილი მიუსაჯეს

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ჰააგიდან გადმოგვცემს, რომ ჰოლანდიის სპეციალურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ჰოლანდიელი ფაშისტების მეთაურს მუსერტს.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სესიის გადადება

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაერთიანებული ერების მოსამზადებელმა კომისიამ გადასწყვიტა 7-დან 10 იანვრისათვის გადადოს გენერალური ასამბლეის სესია.

„დიდი მოურავი"—ესკიზი, შესრულებული ახპირანტ ირაკლი ოქროპირიძის მიერ (პროფესორ ი. ნიკოლაძის კლასი). ფოტო რ. აკოფოვისა

არქეოლოგიური გათხრები სამხრეთ ოსეთში

მიმდინარე წელს სამხრეთ ოსეთში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გობეჯიშვილი.

ექსპედიციამ პირველი გათხრები მოახდინა ლენინგორის რაიონის სოფელ საძეგურის მიდამოებში. აქ პირველად 1908 წელს აღმოჩენილ იქნა დიდძალი ოქროს ნივთები. ახლანდელი გათხრების შედეგად ექსპედიციამ დაადასტურა, რომ ეს ნივთები ამოღებული ყოფილა სასაფლაოდან. აღმოჩნდა კიდევ ორი სასაფლაო, რომელთა გამოკვლევა 1946 წელს დაიწყება.

ლენინგორიდან ექსპედიცია ჩავიდა სტალინირში. აქ გათხრები აწარმოვა ქალაქის გარეუბნებში (ბორცვ ნაცარგორაზე). ეს ადგილი ოდესღაც წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ხის ნაგებობათა ნიშნები. ეს ნაგებობანი შელესილი ყოფილა თიხის სქელი ფენით. ნაგებობანი და მათ შიგნით მოთავსებული ნივთების ნაწილი ხანძრის დროს დამწვარა.

ერთ-ერთი ნაგებობის შიგნით აღმოჩენილია ლავგარდნიანი ქურა (ანკერა). ქურასთან ერთად იპოვნეს თიხისაგან დამზადებული ლამაზი ჰურჭელი, ხორბლით სავსე პატარა ქილები, კაცის ნამგლები და სხვა ნივთები. აღმოჩენილია ბრინჯაოს საჭურვლის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები.

გათხრების დროს ბორცვის სხვადასხვა ფენებში მრავლად გვხვდება ნივთები. მათგან აღსანიშნავია ადამიანთა და ცხოველთა ქანდაკებანი. ნაპოვნია საბრძოლო ლახტის (კვერთხის) თავები, ბრინჯაოს სატევრები ნაირსახოვანი ორნამენტით, მოპირკეთებული თიხის ჰურჭელი, ძვლისა და რქის ნაკეთობანი, შინაური და გარეული ცხოველების ძვლები.

ნაცარგორას ბორცვის უძველესი ფენა ლითონის ხანას განეკუთვნება, ხოლო ზედა ფენებში მოიპოვება პირველი ათასეულის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და ადრე-ქრისტიანული ხანის ძეგლებიც.

ნაცარგორაზე აღმოჩენილი ნივთები წარმოადგენენ საუკეთესო მასალას ქართველთა ტომების უძველესი კულტურის, მეურნეობისა და სარწმუნოების შესასწავლად.

ა. კრიხელი

გორის რაიონში

ქუჩების კეთილმოწყობა

ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაზე დიდი თანხები იხარჯება. ამჟამად მიმდინარეობს შაუმიანის ქუჩის მოკირწყვლა, რაც 30 ათასი მანეთი ჯდება. ახლო ხანში დაიწყება ჭავჭავაძის ქუჩის მოასფალტება. წელს მოასფალტებული იქნება 300 კვადრატული მეტრი ფართობი. მიმდინარეობს სანაპირო ქუჩის კეთილმოწყობა. მთავრდება მტკვარზე რკინაბეტონის ხიდის მშენებლობა.

წითელარმიელის ოჯახს ახალი სახლი აუშენეს

სოფელ ჰეჰელაანთუბნის (ატენი) კოლმეურნეობის წევრს, წითელარმიელის ცოლს კატო ჰეჰელაშვილს სახლი დაენგრა. კოლმეურნეობამ მას 15 დღეში ახალი სახლი აუშენა.

იშვიათი ექსპონატი

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება კაჟიანი თოფი, რომელსაც ლულაზე ოქროს ასოებით აწერია: „მეფე სოლომონ". თოფის კონდახი და კოლოფი შემკულია მოყვითალო ძვლით. ლულაზე შემოვლებული აქვს მოსევადებული ვერცხლის ორი სალტე. მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა აზრით ეს თოფი უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფე სოლომონს.

დიდი ხიდი მდინარე მეჯუდაზე

მეჯვრისხევში მდინარე მეჯუდაზე შენდება რკინა-ბეტონის ხიდი. მშენებლობა 65 ათასი მანეთი დაჯდება. ხიდის აგება წელს უნდა დამთავრდეს.

კომუნისტის სიგნალის შემდეგ

კოოპერატიული ქონების გამნიავებლები პასუხისგებაში არიან მიცემული

„კომუნისტის" 20 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით „აქტები, ფაქტები და საბუხჰალტრო ჩანაწერები". კორესპონდენცია ამხელდა ჩხარის რაიკოოპკავშირის მუშაკების დანაშაულებრივ მოქმედებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბაქრაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ 1945 წლის 30 ნოემბერს განიხილა რაიკოოპკავშირის მუშაობის საკითხი. გამგეობის თავმჯდომარეს გრ. გიორგაძეს სავაჭრო ქსელისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა საყვედური პირად ბარათში შეტანით. რაიკოოპკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე ნ. ჰანტურიძე მოხსნილია თანამდებობიდან. მთავარი ბუხჰალტერი შენგელია მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში. რაიკოოპკავშირის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ნაფეტვარიძეს გამოეცხადა საყვედური. მშრომელთა დეპუტატების ჩხარის რაიონული საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. გვენეტაძეს სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობისადმი სუსტი კონტროლისა და დახმარებისათვის მიეცა მითითება. რაიონის პროკურორს ამხ. მაკარიძეს გამოცხადებული აქვს საყვედური პასუხისგებაში მიცემულ პირთა საქმეების გამოძიების გაჭიანურებისათვის.

რაიკომის ბიურომ ჩხარის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გრ. გიორგაძეს დაავალა დაუყოვნებლივ მოხსნას სამუშაოდან ექსპედიტორი ი. ხუჯაძე და საქონელმცოდნე დოლაბერიძე როგორც შეუფერებელი მუშაკები.

კოოპერატიული ქონების განიავებაში მონაწილე პირები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

14 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე შესდგება ამხ. ქორიძის ინდივიდუალური კონსულტაცია ფილოსოფიაში რუსულ და ქართულ ენებზე.

14 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეებისათვის შესდგება ამხ. დოლიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა დემოკრატიის დიადი გამარჯვება ფაშიზმზე".

კინოებში

14 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის — ოქტომბერი—„უდანაშაულო დამნაშავენი". დამკვრელი—„არშინ-მალ-ალან". კომკავშირელი—„გაზაფხულის ვალსი". სპარტაკი—„არშინ-მალ-ალან". ლუქსემბურგის სახელობის—„რაიკომის მდივანი". 26 კომისრის სახელობის—„დაუმორჩილებელნი".

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—14/XII—„მეფის საცოლე", 15/XII—„ბორის გოდუნოვი". რუსთაველის სახელობის—14/XII — „ხევისბერი გოჩა", 15/XII—„უდანაშაულო დამნაშავენი". მარჯანიშვილის სახელობის—14/XII—„ქამთაბერის ასული", 15/XII — „უმზითვო". მუსიკალური კომედიის — 14/XII — „სილვა", 15/XII—„მზის დაბნელება". გრიბოედოვის სახელობის—14/XII—„თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს", 15/XII—„ასეც იქნება". მოზარდ მაყურებელთა ქართული—14/XII—„ადვოკატი პატლენი", 15/XII—„სურამის ციხე".

მოქალაქე **შალვა ნესტორის-ძე წიწილაშვილმა,** მცხოვრებმა ტარიელის შესახვევი № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ფიდოტის-ასულ სალაყაია-წიწილაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

მუსიკალური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის

1945 წელი ნაყოფიერია ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში. 32 მცირე ფორმის (კამერული) ნაწარმოები, ორი საბალეტო ნაწარმოები (კომპოზიტორების გ. კილაძისა და ქ. მღვინეთ-უხუცესისა), ხუთი ოპერა — შ. მშველიძის „ვეფხის-ტყაოსანი", რომელიც თეატრს უკვე გადაეცა სამუშაოდ, ა. ბალანჩივაძის „ბედნიერება" (ახალი ვარიანტი), აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა", კერესელიძის „ბაში-აჩუკი" და თორაძის „არმაზის ციხე" ამდიდრებენ ჩვენს საოპერო რეპერტუარს. სიმფონიური კონცერტების სეზონს დაამშვენებენ ტუსკიას, მაჭავარიანის, გუდიაშვილის, ბარამიშვილის, მშველიძის და სხვათა ახალი ნაწარმოებნი. მათი დიდი უმრავლესობა შესრულებული იქნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავზე.

1945-46 წლის მუსიკალური სეზონი აღმავლობით დაიწყო. ახლახან დამთავრებული შემსრულებელ-მუსიკოსთა კონკურსი წარმატებით ჩატარდა. თუ გასულ წელს გვქონდა კამერული კონცერტების მხრივ ჩამორჩენა, მიმდინარე სეზონიდან ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება. ამას მოწმობს ე. ვეტიშვილის, გ. ბარნაბიშვილის, გ. მაჭუტაძის, ლ. შიუკაშვილის და სხვათა მონაწილეობით პირველი კამერული კონცერტების წარმატება.

კონკურსის ჩატარების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი ახალგაზრდა ძალები—გ. ქავთარაძე, ლ. მიქაბერიძე, მ. ნათიშვილი, ე. ექსანიშვილი და სხვები.

ამჟამად ჩვენ გვყავს შემდეგი მუსიკალური კოლექტივები: სიმფონიური ორკესტრი 90 მსახიობის შემადგენლობით, ახალგაზრდათა სიმებიანი კვარტეტი, რომელიც ამჟამად მოსკოვშია და მეცადინეობს ცნობილ პროფესორებთან, მ. თარხნიშვილისა და ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებული სახელმწიფო ანსამბლები. ჩამოყალიბდება მეორე სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო ტრიო, ვოკალური ანსამბლი (ოქტეტი). სოლისტთა შტატი შეივსება ახალგაზრდა ნიჭიერი ძალებით. დაწყებულია სამხატვრო სახელმწიფო კაპელის ჩამოსაყალიბებლად.

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაცია ტარდება იმ ვარაუდით, რომ შეიქმნას ორი ძლიერი სრულყოფილი ანსამბლი — ერთი კომპოზიტორ გრ. კოკელაძის ხელმძღვანელობით და მეორე—კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. [illegible] ანსამბლების [illegible] მირითადად გადახალისებული იქნება. მათ რეპერტუარში, გარდა საუკეთესო ხალხური სიმღერებისა, შევა როგორც კლასიკოსთა, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

ყველა სარაიონო ცენტრში უნდა ჩამოყალიბდეს ანსამბლები, რომლებმაც ამთავითვე დიდი მუშაობა უნდა აწარმოონ, რათა მომავალ წელს ღირსეულად ჩავატაროთ ოლიმპიადა.

ქართული საგუნდო კულტურა მაღალია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა იგი კიდევ უფრო ავამაღლოთ. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული ხალხური საგუნდო ხელოვნების გამოცდილი ოსტატების რ. შელეგიას, ვ. სვიმონიშვილის, ქ. გეგეჭკორის, გ. მუღალაშვილის, გ. მიქაძის ნაყოფიერ მუშაობაზე. ხალხური შემოქმედების სახლმა ადგილებზე დათვალიერების მოწყობით და კონსულტაციების ჩატარებით საჭიროა გამოავლინოს ახალი ძალები, რომლებიც სათანადო წვრთნის შემდეგ გუნდების ხელმძღვანელებად გამოდგებიან.

განზრახულია სტუდენტობისათვის მოეწყოს მიზნობრივი კონცერტები, რომლებზეც ისინი მოისმენენ გამოჩენილი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებებს. პირველი კონცერტი ჩატარდება მოხსენებით ჩაიკოვსკის შემოქმედებაზე მისი საუკეთესო ნაწარმოებების შესრულებით. ამ ღონისძიებას სისტემატური ხასიათი ექნება. კონცერტები ჩატარდება როგორც სახელმწიფო ოპერის თეატრში, ისე რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, კონსერვატორიის დიდსა და მცირე დარბაზებში, ფილარმონიის საზამთრო თეატრში (პლეხანოვის პროსპექტი № 123). კონცერტები გაიმართება აგრეთვე კლუბებსა და კულტურის სახლებში.

დიდი ყურადღება მიექცევა ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებს—სოხუმს, ბათუმს, სტალინირს, ქალაქებს ქუთაისს, ჭიათურას, თელავს, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს. ღირსეული მხატვრული მომსახურება უნდა გავუწიოთ ჩვენს კურორტებსაც: ბორჯომს, წყალტუბოს, გაგრას. ამის პირობები ჩვენ გვაქვს.

პ. კანდელაკი
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაზე ხელისმომწერთა რეგისტრაცია

1945 წლის 10 დეკემბრიდან 1946 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის წიგნით ვაჭრობის გაერთიანების „საქწიგნის" მაღაზიებში ქ. თბილისში (რუსთაველის პროსპექტი, № 22 და პლეხანოვის პროსპექტი № 98), ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში ტარდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაზე ხელისმომწერთა რეგისტრაცია.

რეგისტრაციის დროს ხელისმომწერმა უნდა წარმოადგინოს ქვითარი ხელისმოწერაზე, უკვე მიღებული ტომების ღირებულების გადახდაზე და უჩვენოს, თუ რამდენი მიიღო პირველი და მეორე ტომი ცალცალკე.

მთვარის დაბნელება

19 დეკემბერს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. იგი შესამჩნევი იქნება სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში. დაბნელების დასაწყისს დაინახავენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილშიც.

მოსკოვში დაბნელება (მთვარის შესვლა ნახევარჩრდილში) დაიწყება 2 საათსა და 38 წუთზე, სრული დაბნელება — 4 საათსა და 40 წუთზე, უმეტესი ფაზის მომენტი — 5 საათსა და 20 წუთზე. იგი გასტანს 5 საათსა და 24 წუთს.

ასტრონომები ემზადებიან მთვარის დაბნელების დასაკვირვებლად. დაბნელების ცალკე ფაზები ფიქსირებულ იქნება ფოტოაფსკზე. (საკდესი).

მოფარიკავეთა შეჯიბრება

14, 15 და 16 დეკემბერს თბილისში ეწყობა რესპუბლიკის საუკეთესო მოფარიკავეთა შეჯიბრება 1945 წლის პირველობაზე. შეჯიბრების პროგრამაშია ფარიკაობა ესპადრონით, რაპირითა და ხიშტით. მონაწილეთა შორის არიან სპორტის ოსტატები: გონაძე და ადაროვი (წითელი არმია), გამრეკელი და ბათმანოვი (ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მასწავლებლები), ბათუმიდან დინამოელები შარვაძე, ვიხროვი და სხვ.

შეჯიბრება ჩატარდება სპორტსაზოგადოება „მედიკის" სასპორტო დარბაზში.

ჩემპიონატი ჭადრაკში

16 დეკემბერს დაიწყება საქართველოს მოჭადრაკეთა შეჯიბრება 1946 წლის პირველობისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: ოსტატობის კანდიდატები—ცინცაძე და სოროკინი, პირველი კატეგორიის მოჭადრაკენი—ფალავანდიშვილი და გაჩეჩილაძე, შერჩევით ტურნირში გამარჯვებულნი—ხერედი, აგამალიანი, ნერსესოვი, არუთინოვი, ჰაბუკთა შორის საკავშირო ჩემპიონი პეტროსიანი, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის და ჭიათურის უძლიერესი მოჭადრაკენი.

ლექცია

14 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში შესდგება ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. მამასახლისოვის ლექცია თემაზე: „ატომის ენერგია და მისი გამოყენების პერსპექტივები".

ბილეთების შეძენა შეიძლება მასწავლებლის სახლში.

სემინარი

14 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის აწყობს სემინარს ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: „საბჭოთა წყობილება ყველაზე მტკიცე წყობილებაა მსოფლიოში".

სემინარს ჩაატარებენ ამხ. ფურცხვანიძე (ქართულ ენაზე) და ამხ. გვათუა (რუსულ ენაზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

გაიხსნა ხელმოწერა 1946 წლისათვის

ყველა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" განყოფილებებში, კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებში და განყოფილებებში.

ხელმოწერის უკანასკნელი ვადაა: ცენტრალურ გამოცემებზე—20 დეკემბერი, ადგილობრივზე—25 დეკემბერი.

„სოიუზპეჩატის" საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 25 დეკემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ენის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ქეთევან ბესარიონის-ასული ლომთათიძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ)" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი 1944 წ.).

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვ. თოფურია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვლ. ფანჩვიძე.

დირექცია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.81, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

უე 09818